# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 2009 წელი.

№ 174 (6274)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## ახია ჩვენზე!

# ბატონ სერჟ სარქისიანს ცხონებული საიათნოვა არა სცოდნია,

## ანუ მოვიდა სომეხიო, მოიყოლა სხვა მეხიო!



**სწორედ** კიდევ ერთი ასეთი სხვა მეხის მოწმენი გავხდით გუშინ — საინფორმაციო სააგენტომ „ჯი-ეიჩ-ენმა“ ერთი ფრიად მრავლისმთქმელი ინფორმაცია გაავრცელა, სადაც ნათქვამია, რომ სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი საქართველოს სომხური ენისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭებას სთავაზობს და აცხადებს, სომხეთმა საქართველოში მცხოვრები თანამემამულეების დასახმარებლად თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოიყენოსო.

საქართველოს მიერ სომხური ენისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭებაო, — აცხადებს სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანი. — სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის რეგისტრაცია და სომხური ძეგლების დაცვა მხოლოდ და მხოლოდ ხელს შეუწყობს საქართველოსა და სომხეთის მეგობრობის გამყარებას და ურთიერთნდობის ატმოსფეროს გაძლიერებასო.

ძალიან კარგი, ბატონო პრეზიდენტო, ბატონო სერჟ, რომ საქართველოსა და სომხეთის მეგობრობის გამყარებისა და ურთიერთნდობის გაძლიერებისთვის ასე სომხურ-ეროვნული ჯიგრით ზრუნავთ, მაგრამ რატომ არ გინდათ, რომ ხანდახან თქვენგან ნატკენ ჩვენს გულშიც ჩაიხედოთ?.. განა მეგობრობის დამყარება და ურთიერთობის გაძლიერება მარტოოდენ საქართველოში სომხური ენისთვის რეგიონალური სტატუსის მინიჭებით, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის რეგისტრაციითა და სომხური ძეგლების დაცვით შეიძლება?.. მე რატომღაც პირიქით მგონია... თქვენი მოსაზრება, ბატონო სერჟ, ცალკარიან საფეხბურთო მოედანს მაგონებს, ცალმხრივ მოძრაობას მაგონებს, ჯერ ცოტა მიიწიეს და დანარჩენი მერე ვნახოთს მაგონებს.

ღმერთმა გამრავლოთ, ბატონო სერჟ, ჩვენი მეზობელი სომხები და აკი გამრავლათ კიდეც — ამხელა დედამიწის ზურგზე ქვეყანა არ მეგულება, სადაც სომეხი ფეხმოკიდებული არ იყოს, ჯიბემოკიდებულობას რომ შევეშვათ. ერთი, ალბათ, მარტო თურქეთია, რომელიც ერთხანს ვერ იგუეთ და რომელმაც ერთხანს ვერ გიგუათ, თორემ, რუსეთზე და ამერიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ინდოეთსა და იაპონიაშიც კი იქაურად მეტყველებს იქაურქუდდახურული სომეხი. ისე, ღმერთი, რჯული, ბევრად უფრო უპრიანი ხომ არ იქნებოდა, იქაც მოგეთხოვათ სომხური ენის რეგიონალური სტატუსი?!.

თუმცა, რაღა ძალიან შორს მივდივართ, განა საქართველოში მცხოვრებ სომეხს (თუნდაც მარტო ძირძველი თბილისელი სომხები ავიღოთ) ოდესმე გასჭირვებია ქართველებთან ძმური ურთიერთობა?!. ვიცი, შენვე მიპასუხებ, არაო, და, ალბათ, დამეთანხმები კიდეც, რომ ამ გაუჭირვებელი ურთიერთობის საფუძველი ყოველთვის იყო სომეხთა მხრიდან ყოველივე ქართულისა და უწინარესად ქართული ენის ნაღდი პატივისცემა. ის კი არა, ენათმეცნიერებამ საჭიროდაც დაინახა სომეხთა ქართული მეტყველების მეცნიერული შესწავლა...

თქვე დალოცვილნო, მარტო საიათნოვას ქართული რად ღირს?! განა ვინმეს წარმოუდგენია, რომ საიათნოვას ერეკლე მეფისთვის მოეთხოვა, ძველებურად, ძველქართულ-სომხურ-თბილისურად მოექცია, ერეკლეჯან, მოდი რა, სომხურ ენას რეგიონალური, ანუ თბილისის სტატუსი მიანიჭეო. თბილისისა იმიტომ, რომ სამცხე-ჯავახეთში სომხები ჯერ არ იყვნენ. ისინი, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, მხოლოდ 1828 წელს თურქეთიდან ჩამოასახლა პასკევიჩმა, რომელსაც სულ თავის რუსულჩექმებიან ფეხებზე ეკიდა ქართულიცა და სომხურიც.

არა, საიათნოვამ ქართველებთან მეგობრობასა და ურთიერთობას სომხური ენისთვის რეგიონალური, ანუ თბილისური სტატუსის მოთხოვნა კი არა, საძირკვლად ქართული ენის სიყვარული დაუდო და ისეთივე უკვდავი ლექსი შექმნა ქართულად, როგორიც სომხურად და აზერბაიჯანულად. აზერბაიჯანულადაც იმიტომ, რომ მაშინდელი თბილისი, როგორც მთელი კავკასიის თავქალაქი, აზერბაიჯანელთა საცხოვრისიც იყო.

რაც შეეხება საქართველოში სომხურ სამოციქულო ეკლესიას, არავის არავისთვის არასოდეს არ დაუშლია იქ არც ლოცვა და არც სანთლის დანთება. ასევე, რაც შეეხება საქართველოში სომხური ძეგლების დაცვას, პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ქართველები საქართველოში არა მარტო სომხურ ძეგლებს ვიცავთ, არამედ, დიდად სამწუხაროდ, თვით ქართული ძეგლების დაცვაც კი გვიხდება აქაური თუ მანდაური ნაციონალისტებისგან...

ასე რომ, ბატონო სომეხთა პრეზიდენტო, ბატონო სერჟ სარქისიანო, ძალიან დროული და კარგი იქნება, თუ საქართველოში მცხოვრები თქვენი თანამემამულეების დასახმარებლად მთელი თქვენი შესაძლებლობის მაქსიმუმს მართლაც გამოიყენებთ და კარგა გვარიან მაგარ ლაგამს ამოსდებთ როგორც საქართველოში მცხოვრებ, ისე თქვენებურ სომეხ ნაციონალისტებს, რომლებიც ყველაფერს ღონობენ ჩვენი ხალხების გასათიშად... რაც, დარწმუნებული ვარ თქვენ ნამდვილად არ გინდათ.

დასასრულ, ნება მიბოძეთ, ბატონო პრეზიდენტო, ბატონო სერჟ, რომ დიდი მადლობა გადაგიხადოთ ამას წინათ სომხეთში სტუმრად ჩამოსული ჩვენი პრეზიდენტის ყველაზე უმაღლესი სომხური ორდენით დაჯილდოების გამო. თუმცა, ჩვენი პრეზიდენტის აქაურ დამსახურებაში ვერ გავრკვეულვართ, ხოლო მანდაური დამსახურება ბევრად უფრო მეტად გვაოცებს...

ისე, კაცმა ალალად რომ თქვას, ჩვენზე ყველაფერი ახია!

ვაი, ვაი, რომ საქართველოში ქვები ისევ ღაღადებენ!..

**გურამ წიკლაური.**

---


**გიორგი გოგოლაშვილი:** ასეთი წიგნით ქართული ენა არ უნდა ისწავლებოდეს! 5

**გოჩა გუნიავა:** აფხაზებს მორიგი მუჰაჯირობა ემუქრებათ! 4

**უცხოური პრესიდან:** ბილ გეიტსი პლანეტის კლიმატის შეცვლას აპირებს 9

**გია პლატონიშვილი:** ამის ღირსია კალათბურთელთა ეროვნული ნაკრები? 10

№ 174. ხუთშაბათი, 3 სექტემბერი, 2009 წელი.

## მწარე სინამდვილე

**ავსტრიასა და უნგრეთში საქართველოს ყოფილმა ელჩმა კოტე ჟღენტმა „რეალპოლიტიკის“ საკითხებს არა ერთი საინტერესო სტატია მიუძღვნა. ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც აგვისტოს ომის შედეგებზე ევროკავშირმა, ევროპის საბჭომ და ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა რუსეთთან მიმართებაში საკმაოდ მკაცრი რეზოლუციები მიიღეს, მაგრამ ამავე ორგანიზაციებმა აგვისტოს ომის გამო რუსეთთან შეჩერებული ურთიერთობები, პრაქტიკულად, სრული მოცულობით აღადგინეს.**

**საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან საქართველოსთან დაკავშირებით მიღებული შარშანდელი რეზოლუციების ხელმეორე განხილვა უახლოესი პერიოდისთვის იგეგმება. იმის შესახებ, თუ რას შეიძლება ველოდოთ ხელმეორე განხილვისგან, „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში კოტე ჟღენტს ესაუბრა.**

**— ბატონო კოტე, რამდენად შესრულდება ევროკავშირის მიერ აგვისტოს ომთან დაკავშირებით 1 სექტემბერს მიღებული რეზოლუცია; რას შეიძლება ველოდოთ ამ რეზოლუციის ხელმეორე განხილვისგან?**

— ევროკავშირმა დაგმო რუსეთის აგრესია, ეს ესეც უნდა ყოფილიყო. სხვათა შორის, ვიდრე სარკოზი გამოაქვეყნებდა წინასწარ შემუშავებულ დოკუმენტს, დასავლეთის პრესაში ძალიან ბევრი იწერებოდა იმის შესახებ, რომ მოსალოდნელი იყო რუსეთის აგრესიის დაგმობა. „ბი-ბი-სი“-ს ცნობილმა მიმომხილველმა პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში მარკ მარდელმა აგვისტოს მოვლენებს 21-ე საუკუნეში პირველი ევროპული ომი უწოდა. ევროკავშირი რომ რუსეთის ქმედებას დაგმობდა, ეჭვს არ იწვევდა. შესაძლოა, ჩვენ უფრო მეტსაც ველოდით, მაგრამ, სამწუხაროდ, რეალობა ასეთია — იმავე ევროპელი ლიდერების პუბლიკაციებსა და გამონათქვამებში ისმოდა, რომ რუსეთთან ურთიერთობების გაფუჭება, რუსეთის გარიყვა და მის წინააღმდეგ სანქციების შემოღება არ შეიძლება. ევროკავშირს რუსეთის წინააღმდეგ სანქციები არ მიუღია, მაგრამ მისი მოქმედება სერიოზულად და მნიშვნელოვნად დაგმო.

ევროპამ რეალობიდან გამომდინარე ბალანსი დაიცვა და დღემდე ასე გრძელდება. ერთი მხრივ, გმობენ საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის ქმედებას, მეორე მხრივ, ცდილობენ მასთან ურთიერთობების შენარჩუნებას. მე „რეალპოლიტიკის“ მყარი მიმდევარი ვარ, შარშან ევროკავშირის რეზოლუციისგან განსაკუთრებული მოლოდინი არ მქონია და ახლაც, ამ რეზოლუციის ხელმეორე განხილვა თუ შედგა, დიდი მოლოდინი არ მექნება. შარშანდელ მოვლენებთან დაკავშირებით, ევროკავშირის გარდა, რეზოლუცია მიიღო ევროსაბჭოს ასამბლეამაც. ამ რეზოლუციის მე-4, მე-5 და მე-6 მუხლები ჩვენთან არაერთგვაროვნად შეფასდა. მე-5 მუხლში პირდაპირ წერია, რომ ქართული მხარის მიერ ცხინვალის მიმართულებით საარტილერიო ცეცხლის გაფრთხილების გარეშე გახსნამ ესკალაცია ახალ დონეზე აიყვანა, ქართულმა მხარემ კასეტური ბომბები გამოიყენა, რამაც ცხინვალში მცხოვრებ მოქალაქეებს საფრთხე შეუქმნა. მე-6 მუხლში წერია, რომ საქართველოს ცენტრალურ ნაწილსა და დასავლეთში რუსეთის კონტრშეტევამ დაარღვია არაპროპორციულობისა და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის პრინციპები, აქაც ბალანსია დაცული. ევროკავშირისა და ევროსაბჭოს რეზოლუციები რეალპოლიტიკის პრინციპების გათვალისწინებით არის მიღებული. ევროპა და საერთაშორისო ძალები რუსეთთან დამოკიდებულებაში ბალანსს ყოველთვის დაიცავენ.

**— ევროკავშირი კვლავაც მოითხოვს თუ არა რუსეთისგან სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულებას და ამ საკითხზე მხოლოდ საუბრებს უნდა ველოდოთ?**



— სარკოზის შეთანხმებასთან დაკავშირებით იმავე ცნობილ ჟურნალისტს მარკ მარდელს აქვს საინტერესო სტატია გამოქვეყნებული. როგორც ავტორი წერს, ერთი მეტად სანდო წყაროდან შეიტყო, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ბერნარ კუშნერი და ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ალექსანდრ სტუბი განიხილავდნენ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას ყოვლისმომცველ ჩარჩოში, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარებას. იმავე წყაროს თქმით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭებოდა, მაგრამ თბილისიდან კუშნერისა და სტუბის მოსკოვში გაფრენის წინ მათ სარკოზიმ დაურეკა და სთხოვა, მისთვის დაეცადათ. მონაყოლის მიხედვით, სარკოზიმ დაჟინებით მოითხოვა შეთანხმებაში მისი ვარიანტის დაფიქსირება, რომელშიც აღარ იყო სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარება. მას მიზეზად დოკუმენტის ცუდ ფრანგულზე დაწერა მოუმიზეზებია.

„ბი-ბი-სი“-ს მიმომხილველი მარკ მარდელი იმოწმებს მეტად პატივსაცემი ფრანგი დიპლომატის მოსაზრებას, რომ ცეცხლის შეწყვეტის დოკუმენტი მოსკოვში იყო დაწერილი. ამ დოკუმენტის ერთი ყველაზე თვალშისაცემი თვალთმაქცობა ის გახლდათ, რომ შეთანხმების შესაბამისად, რუსეთის შეიარაღებული ძალები მას შემდეგ უნდა დაბრუნებოდნენ ომამდელ პოზიციებს, რაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმი ამოქმედდებოდა, ანუ მანამდე ორივე რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალებს ევალებოდათ უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფა. ეს ფორმულირება რუსეთს უეჭველად უტოვებდა იმის შესაძლებლობას, რომ თავად განესაზღვრა, ვინ არის მშვიდობისმყოფელი, ვინ უნდა დატოვოს ტერიტორიები და კერძოდ რომელი ტერიტორიები.

# აფხაზეთი — მეორე კვიპროსი?



სარკოზის შეთანხმებაზე ასეთი კომენტარები გააკეთა ცნობილმა ფრანგმა დიპლომატმა, რომელიც მოლაპარაკებებში კუშნერთან ერთად იღებდა მონაწილეობას. აღსანიშნავია, რომ ეს კომენტარები ევროკავშირის მიერ აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით მიღებულ რეზოლუციამდე, ანუ 1 სექტემბრამდეა გაკეთებული. შეთანხმებასთან დაკავშირებით თავიდანვე ძალიან ბევრი კითხვა იყო სარკოზის მიმართ. ომის შემდეგ ძლიერი ძალა კარნახობს პირობებს. არ მინდა ვთქვა, რომ პირობებს კარნახობს ის, ვინც ომი მოიგო, მაგრამ ასეა. თუმცა, სხვაგვარადაც შეიძლება ვთქვათ — პირობებს ის კარნახობს, ვისაც უპირატესობა აქვს. სამწუხაროდ, ასე იყო აფხაზეთის კონფლიქტის დროსაც, ასე მოხდა ახლაც. ყველა ამ შეთანხმებებში მუხლები, რომლებიც ორმაგი წაკითხვის საშუალებას იძლეოდა, უფრო რუსული მხრისათვის იყო მომგებიანი.

**— რა გამოდის, ჩვენ არ უნდა გვქონდეს ე.წ. სარკოზი-მედვედევის შეთანხმების შესრულების იმედი?**

— თავი რომ დავანებოთ შეთანხმების მუხლების ორმაგი წაკითხვის შესაძლებლობას, სარკოზი-მედვედევის შეთანხმების ბოლომდე შესრულება უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოდ მიმაჩნია. არა მგონია, უახლოეს მომავალში რუსებმა გაიყვანონ სამხედრო ძალები აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან. ამ შეთანხმების შესრულებას იმიტომ ვუყურებ სკეპტიკურად, რომ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ შემთხვევაშიც გამარჯვებულმა უკარნახა პირობები დამარცხებულს. ნამდვილად არ მომწონს „დამარცხებულის“ თქმა, მაგრამ რეალობა ასეთია.

**— რუსეთისთვის მთავარი იყო დასავლეთს ელიარებინა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს ვერ მიიღო. თქვენი აზრით, ამ საკითხში დასავლეთის პოზიცია „რეალპოლიტიკის“ გათვალისწინებით შეიძლება შეიცვალოს?**

— ამ საკითხში დასავლეთის მიდგომა არ შეიცვლება. დასავლური სამყაროს არც ერთი ქვეყანა არ ცნობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას, მაგრამ ამ საკითხში რუსეთმა სხვა მიმართულებით დაიწყო მუშაობა. ის ცდილობს ამ ლათინური ამერიკისა და ზოგიერთი აღმოსავლეთის ქვეყანა დაიყოლიოს. მაგრამ, არა მგონია, რომ ეს რუსეთს წარმატებას მოუტანს და იცით, რატომ? კოსოვოს აღიარება, რა თქმა უნდა, იყო დაკავშირებული აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებასთან, მაგრამ დასავლეთი ამას ნამდვილად არ გააკეთებს. საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სოხუმისა და ცხინვალის დამოუკიდებლობის აღიარების თვალსაზრისით არა მგონია, რუსეთს წარმატების მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს.

**— არსებული ვითარება სანამდე შეიძლება შენარჩუნდეს?**

— პუტინმა ჩვენს პრეზიდენტს პირდაპირ უთხრა, რომ აფხაზეთში მეორე კვიპროსი გექნებათო. მოგეხსენებათ, კვიპროსის საკითხი 35 წელია გრძელდება, ამიტომ საქმე ნამდვილად ხანგრძლივ პერიოდთან გვაქვს და ვერავინ განსაზღვრავს, რამდენ ხანს გაგრძელდება ეს პრობლემა. ჩვენ ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ აღვადგინოთ ქართველ და აფხაზ, ქართველ და ოს ხალხებს შორის ნდობა. ახლა ამ მიმართულებით არის ძალიან ბევრი რამ გასაკეთებელი. ახლა ვერავინ ვერ განსაზღვრავს, რამდენ ხანში შეიძლება ამან პოლიტიკური შედეგი მოიტანოს. საერთაშორისო დონეზე კი ყველაფერი, ძირითადად, ისევ „რეალპოლიტიკის“ გათვალისწინებით გაგრძელდება.

**კობა ბენდელიანი**

## საგანგებო სიტუაცია

### ბაღაფშმა ქართული გემების განადგურების ბრძანება გასცა

**აფხაზ სეპარატისტთა ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა ხელი მოაწერა ბრძანებას იმ ქართული გემების განადგურების შესახებ, რომლებიც აფხაზეთის ე.წ საზღვარო საზღვარს დაარღვევს. რუსული მედიის ინფორმაციით, ეს ბრძანება აფხაზეთის ე.წ. საზღვაო ფლოტისთვისაა განკუთვნილი.**

აფხაზ სეპარატისტთა ლიდერი სერგეი ბაღაფში თავისი გადაწყვეტილების კომენტირებისას აცხადებს, რომ — ქართველ მეკობრეებსა და სომალელ მეკობრეებს შორის განსხვავება თითქმის არ არის, ამიტომაც ასეთი ქმედებები არ შეიძლება პასუხის გარეშე დარჩეს და განმარტავს, რომ მან მის მიერ გაცემული ბრძანების შესრულება მხოლოდ აფხაზეთის ე.წ. საზღვაო ძალებს ეკუთვნით და რუსეთის საზღვაო ძალებს ამ ბრძანებასთან არავითარი კავშირი არა აქვთ.

საქართველოს პარლამენტში აფხაზ სეპარატისტთა ლიდერის სერგეი ბაღაფშის მიერ აფხაზეთის ე.წ. საზღვაო საზღვრის დარღვევის შემთხვევაში ქართული გემების განადგურების შესახებ ბრძანების გაცემას „პროვოკაციად“ აფასებენ.

როგორც ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი აცხადებს, ეს განცხადება ყურადსაღებია საიმისოდ, რათა ქართულმა მხარემ წარმოიდგინოს რა ტიპის პროვოკაციებია მოსალოდნელი.



საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის პაატა დავითაიას ქვეყნის ტერიტორიულ წყლებთან დაკავშირებით შექმნილი ვითარების დარეგულირებაში შეერთებული შტატების იმედი აქვს.

სეპარატისტული აფხაზეთის უშიშროების სამსახურის სასაზღვრო რაზმის უფროსი ზურაბ მარღანია აცხადებს, რომ „აფხაზეთის სამხედრო საზღვაო ძალებს ყველა საშუალება გააჩნიათ იმისათვის, რომ შავ ზღვაში ქართული ხომალდების მეკობრული ქმედებები აღკვეთონ“.

მისივე თქმით, იგი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ სერგეი ბაღაფშმა აფხაზეთის ტერიტორიულ წყლებთან მიახლოების შემთხვევაში ქართული გემების განადგურების ბრძანება გასცა.

### აფხაზებმა თურმე ქართველი ჯაშუში დაიჭირეს

**აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის დე ფაქტო სასამართლომ საქართველოს სასარგებლოდ ჯაშუშობისთვის დაიანა შადანიას 19-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა.**

აფხაზეთის დე ფაქტო უზენაესმა სასამართლომ ბრალი 40 წლის დაიანა შადანიას აფხაზეთის დე ფაქტო თავდაცვის სამინისტროს შესახებ ქართული მხარისთვის, კერძოდ, საქართველოს საგანგებო სამსახურის თანამშრომელ კახაბერ კვარაცხელიასთვის ინფორმაციის მიწოდებაში დასდო.

დე ფაქტო სამართალდამცველების საგამოძიებო მასალებზე დაყრდნობით მისი დაკავება 2008 წლის სექტემბერში მოხდა. დაკავებისას ეჭვმიტანილს ფოტოაპარატი ჩამოართვეს, სადაც აფხაზეთის დე ფაქტო შეიარაღებული ძალების განლაგების ადგილების ვიდეო და ფოტომასალა იყო. დაიანა შადანია დანაშაულს არ აღიარებს.

**ჯი-ეიჩ-ენი**

მცირე ერების შავი ბედი

# აფხაზებს მორიგი მუჰაჯირობა ემუქრებათ!

*რუსეთის მიერ აფხაზეთის სრული ოკუპაციის შემდეგ ამ რეგიონში ვითარება დღითი დღე უარესდება. ახლა უკვე აფხაზთა ნაწილიც ხმამაღლა საუბრობს იმაზე, რომ რუსეთის ძალადობამ შესაძლოა აფხაზების გადაშენება გამოიწვიოს. თვალშისაცემია ისიც, რომ აფხაზეთი დღეს უკვე რამდენიმე ეთნოსის — კერძოდ, საკუთრივ აფხაზების, თურქეთში თავის დროზე განდევნილი მუჰაჯირების, სომხების და რუსი ოკუპანტების ინტერესთა გადაკვეთის ადგილად იქცა..*
*რუსეთის აგრესიის წლისთავზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი" ექსპერტთა კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებელს გოჩა გუნიავას ესაუბრა.*

**ცნობისთვის: „ექსპერტთა კლუბი" 2009 წლის ივლისში თბილისში დაფუძნდა. მასში გაერთიანდნენ თავისი სამსახურებრივი საქმიანობით და პირადი ყოფით აფხაზეთთან დაკავშირებული ის ადამიანები, რომლებიც თვითმხილველი და მონაწილენი არიან გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე იქ განვითარებული ტრაგიკული მოვლენებისა.**

**— ერთი წელი გავიდა რუსეთ-საქართველოს ომის დამთავრებიდან. ოკუპირებულია აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. რა შეიძლება გაკეთდეს ასეთ რთულ ვითარებაში და რა სახის პრობლემები მიაჩნია თქვენს მოძრაობას ყველაზე მნიშვნელოვნად დღეისათვის?**

— ვითარება ნამდვილად რთულია. საერთაშორისო საზოგადოებამ რუსეთი კონფლიქტის მხარედ აღიარა და აგრესორად შერაცხა. მას ოკუპირებული აქვს საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. მსოფლიო საბოლოოდ დარწმუნდა, რომ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ადგილი ჰქონდა რუსეთ-საქართველოს ომს და არა ეთნოკონფლიქტებს. საქართველომ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით აფხაზებთან და ოსებთან უნდა მიაღწიოს პირდაპირი დიალოგის დაწყებას, მოხდეს მოლაპარაკებათა პროცესიდან რუსეთის ნეგატიური ზეგავლენის ნეიტრალიზაცია, რადგან მას ამისთვის არც იურიდიული და არც მორალური უფლება არ აქვს. რაც შეეხება პრობლემებს, ის საყოველთაოდ ცნობილია: ქვეყნის ოკუპირებული ნაწილის დეოკუპაცია, აფხაზებთან და ოსებთან შუამავლის გარეშე მოლაპარაკების დაწყება და ყველა არსებული სამშვიდობო მეთოდების გამოყენებით დევნილი მოსახლეობის აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში დაბრუნებისთვის ხელის შეწყობა.

**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ აფხაზეთში ბრუნდებიან XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ გაძევებული მუჰაჯირების შთამომავლები. რამდენად შეესაბამება ეს სინამდვილეს?**

— მუჰაჯირების რეპატრიაციის საკითხი ჯერ კიდევ აფხაზეთში საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ დადგა, სეპარატისტული პარლამენტისა და მთავრობის შემადგენლობაში შესაბამისი სტრუქტურებიც კი შეიქმნა. მუჰაჯირების შთამომავლები თავიდან ენთუზიაზმით მოეკიდნენ აფხაზეთში გადმოსახლებას. 1994-1996 წლებში 100-ზე მეტი ოჯახი ჩავიდა იქ საცხოვრებლად. უმრავლესობა თურქეთიდან გადმოსახლებული ხელმოკლე ოჯახები იყვნენ, რომლებსაც უფასოდ სახლების გადაცემის გარდა საკუთარი ბიზნესის წარმოების გარანტიებიც ეძლეოდათ. ამ დროისთვის აფხაზეთში არსებულმა მძიმე კრიმინოგენურმა ვითარებამ რეპატრიაციის პროცესი შეაჩერა, რადგან დაიწყო მათზე თავდასხმები, მოკლული იქნა რამდენიმე რეპატრიანტი, რამაც მათი ნაწილის უკან გაბრუნებაც კი გამოიწვია.

თუმცა მუჰაჯირების შთამომავლების საქმიანი ნაწილისთვის აფხაზეთი დიდი დაინტერესების საგნად რჩება, სადაც მათ არსებული კანონმდებლობით შეუძლიათ გახდნენ აფაზეთის მოქალაქეები (რაც რუსეთის მოქალაქეობის მიღებასაც უადვილებთ), შეღავათიან პირობებში შეიძინონ უძრავ-მოძრავი ქონება და, რაც მთავარია, ყველაფერი ეს გამოიყენონ ტრამპლინად რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში დიდი ბიზნესის გასაშლელად. არსებობს მუჰაჯირთა შთამომავლების მესამე კატეგორია, რომელიც ისლამის გავრცელებას ისახავს მიზნად და რომლის ზურგს უკან ისლამური წრეები და სხვა დაინტერესებული ძალები დგანან.

ბოლო ათწლეულში აფხაზეთში ეთნიკური აფხაზების რაოდენობის მკვეთრი შემცირება მოხდა. აფხაზური ეთნოსის ხელოვნურად გაზრდის მიზნით 2005 წელს მიღებულ იქნა კანონი აფხაზეთის მოქალაქეობის შესახებ, რომლის მეხუთე მუხლის თანახმად, აფხაზეთის მოქალაქეებად ითვლებიან: „აფხაზი ეროვნების პირები (აბაზები), მიუხედავად მათი საცხოვრებელი ადგილისა და ქვეყნის მოქალაქეობისა". მუჰაჯირების შთამომავლების ნაწილმა სურვილი გამოთქვა ისარგებლონ ზემოთ ხსენებული მოქალაქეობის კანონით. მიაჩნიათ, რომ თუ ეს პროცესი გააქტიურდა, დემოგრაფიულ ცვლილებებთან ერთად მოხდება ამ რეგიონის სრული ისლამიზაციაც.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნეში აფხაზეთიდან გაძევებულ მუჰაჯირთა შორის ბევრი ეთნიკური ქართველიც იყო, თუმცა ისინი ზემოთ აღნიშნული კანონით ვერ ისარგებლებენ, რადგან იგი მხოლოდ ეთნიკურ აფხაზებზე ვრცელდება. მიუხედავად სეპარატისტების დიდი მცდელობისა, დღეისთვის აფხაზეთში სულ ათასამდე რეპატრიანტია დაბრუნებული. რეპატრიაციის პროცესის შეჩერება გამოიწვია რუსეთის მიერ აფხაზეთის ოკუპაციამ. სეპარატისტული აფხაზეთის საერო და ისლამური სასულიერო ლიდერების მტკიცება, რომ დღევანდელი რუსეთის მიზნები აფხაზეთში განსხვავდება XIX საუკუნის რუსეთის მიზნებისგან, დამაჯერებელი ვერ აღმოჩნდა მუჰაჯირთა შთამომავლებისთვის, რომლებიც ასეული წლების მანძილზე შიშითა და სიძულვილით მოიხსენიებდნენ რუსეთის ყველა ეპოქის მესვეურებს.



**— როგორ მიიღებს რუსეთის ხელისუფლება მუჰაჯირთა დიდი ნაკადის შემოდინებას აფხაზეთში და ღებულობს თუ არა რაიმე ზომებს ამ პროცესის აღსაკვეთად?**

— ამ პროცესის შეფერხების მიზნით რუსეთი ხელოვნურად ქმნის პირობებს აფხაზეთში რუსი და გარკვეულწილად, სომხური მოსახლეობის რიცხობრივად ზრდისთვის. 2009 წლის 30 აპრილს დიმიტრი მედვედევმა და სერგეი ბაღაფშმა ხელი მოაწერეს აფხაზეთის საზღვრის ერთობლივად დაცვის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის სახმელეთო და საზღვაო საზღვარი გაკონტროლდება მხოლოდ რუსი მესაზღვრეების მიერ. ამავე ხელშეკრულებით რუს მესაზღვრეებსა და მათი ოჯახის წევრებს უფლება ეძლევათ, ისარგებლონ ბინის მიღებისა და მისი შემდგომი პრივატიზაციის ყველა იმ შეღავათით, რომლებითაც ადგილობრივი აფხაზი სამხედრო მოსამსახურეები სარგებლობენ, რაც აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსი ეროვნების მოსახლეობის მნიშვნელოვან ზრდის საშუალებას იძლევა.

არავისთვის საიდუმლოს აღარ წარმოადგენს, რომ რუსეთის საბოლოო მიზანი აფხაზეთის ტერიტორიის რუსეთთან მიერთებაა. ამისათვის გამოაძევეს იქიდან ასეულათასობით ერთმორწმუნე და აბორიგენი ქართველები. რუსეთს პრობლემად შეიძლება ექცეს მათ მიერვე რელიგიურ ნიადაგზე სამშობლოდან გაძევებული და გაბოროტებული მუჰაჯირების შთამომავლების დიდი ნაკადის აფხაზეთში შემოდინება. მათ საპირწონე ძალად რუსეთი ხელს შეუწყობს აფხაზეთში სომეხი მოსახლეობის რაოდენობის ზრდას, რომლებიც თურქეთიდან ასევე ეთნიკური და რელიგიური ნიშნის მიხედვით გამოყარეს და ცხოვრობენ აფხაზეთის იმ მიწა-წყალზე, საიდანაც მუჰაჯირები აყარეს. საერთაშორისო საზოგადოებას და განსაკუთრებით სომეხ მოსახლეობას არ დავიწყებია რუსეთის არც ის პროვოკაციული როლი, რომელმაც სომეხი ხალხის ხოცვა-ჟლეტას შეუწყო ხელი.

**— ასეთი რაოდენობით ერთმანეთისთვის უცხო ადამიანების მოკლე დროში თავშეყრა ხომ არ წარმოშობს დაპირისპირების ახალ კერას?**

— ასეთი საშიშროება რეალურად არსებობს. დაპირისპირების საფუძვლად შეიძლება იქცეს ქონებრივი, ეთნიკური და კონფესიური ფაქტორი. მით უმეტეს თუ დაინტერესებული ძალებიც წააქეზებენ პროცესის ამ მიმართულებით წარმართვას. ამასთან, თავსებადი ვერ იქნება სეპარატისტული ხელისუფლების სწრაფვა რაც შეიძლება მეტი მუჰაჯირის დასაბრუნებლად და რუსეთის შიში მისი ისტორიული მეტოქის და ნატოს ერთ-ერთი აქტიური წევრის, თურქეთის ტერიტორიიდან აფხაზეთში გაურკვეველი მიზნების მქონე დიდი ჯგუფების შესვლასთან დაკავშირებით. ასევე რთული შესაგუებელი იქნება აფხაზეთში დღეს მცხოვრები სომეხი მოსახლეობის და მათი მოსკოვური სომხური ლობის მზარდი პრეტენზიები დაბრუნებულ მუჰაჯირთა ინტერესებთან. არ გამოირიცხება რუსეთის მიერ ახალი დაპირისპირების ინიცირება ამ ისტორიულად და რელიგიურად მტრულ ორ ძალას შორის, რაც შეიძლება აფხაზური ეთნოსის მორიგი მუჰაჯირობის მიზეზი გახდეს.

წკეპლიკა

# „მინუსდეკლარაციებზე" ხომ არ გადავლენ?

**ერთი ჩვენი პოპულარული გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს ქართველი დიდკაცების (და დიდქალების!) ქონებრივი დეკლარაციების ნუსხას.**

თქვენი არ ვიცი და მე ჯერ გული მიჩუყდება ხოლმე, მერე კი სიამაყით მევსება, რომ ამ თითქოს ცაჩამოქცეულ, ანგრეულ-დანგრეულ ქვეყანაში როგორი ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური კლასი გვყოლია დიდებული უძრავ-მოძრავი ქონებით (სახლები, ვილები, აგარაკები, ავტომობილები, მიწის ნაკვეთები, გაფორმებული, რიგ შემთხვევაში, სიდედრ-სიმამრზეც, ცოლისდაცოლისძმაზე, დედამთილ-მამამთილზე, დეიდა-მამიდაზე, ბიძია თომაზე...); მსხვილ-მსხვილი კაპიტალით — ჯიბეებში, ჩანთებში, ბანკებში (როგორც მშობლიურში, ისე უცხოურშიც) ჩადებული, დაბანდებული, შენახული დოლარებით, ევროებით, ლარებით, რუბლებით, რუპიებით, გირვანქებით...

თქვენი არ ვიცი და მე ამილიცლიცდება ხოლმე ლიტერატურული ასოციაციები ქართული ხალხური პოეზიიდან, ქართველი თუ საზღვარგარეთელი მწერლებიდან (მაგალითად, ასეთი: ეს ფენა მაინც გაგზარდეთ, ყელამდე გამაძღარია"; „თქვენ იყავით კარგად და არაფერი მიჭირს მე!" (ჭ. ამირეჯიბი).

ოღონდ ეს წკეპლიკა მარტო საამისოდ არ „მომიქნევია" — რაციონალიზატორული წინადადებით შემოვდივარ: პლუსდეკლარაციებით (შემოსავლებით!) ხომ ვიჯერეთ თვალი და გული — ახლა მინუსდეკლარაციებიც (გასავლებიც!) გაგვაცანით დიდკაცთა (და დიდქალთა!): თბილისიდან ქვეყნის შიგნით გასვლებისა, თბილისიდან ქვეყნის გარეთ გასვლებისა, ნაირ-ნაირი სამიტისა, სიმპოზიუმისა, კონფერენციისა, დისკუსიისა, ჰალსტუხიანი და უჰალსტუხო შეხვედრებისა... კერძოდ, გაგვაცანით ხარჯთაღრიცხვა ჩვენი პრეზიდენტის მოსწრებული ენა-პირით, ყველგან მიმწვდომი ხელისა და ჯადოსნური კვერთხის აქნევით გამოცხადებული ხალხოსნური მოძრაობისა...

ისე, თვით ბატონი მიხეილის გასავლებისა თუ საგრიალო დანახარჯების აღნუსხვას კი დასჭირდებოდა ტომები და მოსამწერალთა მთელი შტატი...

**ლუკა გორგაძე**

ინფორმაცია

## გარდაბანში დევნილებს სახლებს კერძო საკუთრებაში გადასცემენ

**გუშინ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა კობა სუბელიანმა გარდაბანში, ყოფილი პროფტექნიკური სასწავლებლის შენობაში ახლახანს ჩასახლებული დევნილები მოინახულა და დასრულებული სარემონტო სამუშაოების შედეგები დაათვალიერა.**

**ობიექტის სრული რეაბილიტაციის შემდეგ დევნილთათვის გამოყოფილ შენობაში გაიმართა წყალგაყვანილობის, გაზმომარაგების, საკანალიზაციო სისტემები. ჩატარდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები, აშენდა სპორტული მოედანი.**

**თითოეულ ოჯახს დაუმონტაჟდა გაზის გამათბობელი, აგრეთვე გაზისა და დენის ინდივიდუალური მრიცხველები.**

**ობიექტზე სამინისტრომ აფხაზეთიდან დევნილი 20 ოჯახი შეასახლა. აღნიშნული შენობა დევნილებს კერძო საკუთრებაში გადაეცემათ.**

ჯი-ეიჩ-ენი

ვითარება



*ცხინვალში რუსეთის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინის ვიზიტის ჩაშლამ და მის მიერ კოკოითის სამთვიან შვებულებაში გაშვებამ ბევრი ეჭვი დაბადა. უფრო მეტიც, კოკოითი თვითონ ჩავიდა მოსკოვში და ცხინვალის ე. წ. აღიარების წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებებსაც არ დასწრებია. საეჭვო იყო ის ფაქტიც, რომ დიდი პომპეზურობით დაგეგმილ დღესასწაულზე, კრემლის არც ერთი მაღალჩინოსანი და ცნობილი ფიგურა არ ჩასულა. ამ მოვლენებს წინ უსწრებდა კოკოითისა და ძუარიკაუ-ცხინვალის გაზსადენზე მომუშავე კომპანიის მფლობელის რობერტ ჯუსოითის დაპირისპირება. გაზსადენის გახსნამდე რამდენიმე დღით ადრე, კოკოითმა მისი მშენებლობაც კი შეაჩერა. თუ რას შეიძლებოდა გამოეწვია მოვლენების ასე განვითარება, ამ საკითხთან დაკავშირებით საინფორმაციო სააგენტო „მედიანიუსი“ კავკასიის საკითხებში ექსპერტს მამუკა არეშიძეს ესაუბრა.*

# კოკოითი დაასვენეს თუ მოიშორეს?

**– ბატონო მამუკა, გავრცელებული ინფორმაციით, პუტინმა კოკოითი სამთვიან შვებულებში გაუშვა. ეს რას უნდა ნიშნავდეს?**

– აქ შეიძლება ორი ვერსია იყოს: პირველი ვერსიით, ე.წ შვებულებაში გაშვებით, შესაძლოა, პუტინმა კოკოითი მშვიდად მოიშორა. კოკოითი უკვე ძალიან ბევრს უშლიდა ხელს. მეორე ვერსიით კი, შესაძლოა, უბრალოდ, ის სიტუაციას დროებით გაარიდეს.

**– პუტინის ცხინვალში ვიზიტის ჩაშლას როგორ ახსნით? მოხდა პირიქით – კოკოითი ეწვია მას მოსკოვში. ასე სწრაფად მოვლენების განვითარება რაიმე მიზეზმა ხომ არ გამოიწვია?**

– პუტინის ასეთი ვიზიტი ცხინვალში, რომელიც დაკავშირებული იყო მოსკოვის უბნის გახსნასთან, აბსოლუტურად არ ჯდებოდა დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელის მორალურ პორტრეტში.

გავრცელებული ინფორმაციით, პუტინს ცხინვალის რეგიონში მოსკოვის სახელობის ახალი რაიონი უნდა გაეხსნა, რომელიც ეთნოწმენდის შედეგად ქართველების მიერ დატოვებულ თამარაშენის ტერიტორიაზე აშენდა. ეს ვიზიტი აკანონებდა ეთნოწმენდის ფაქტს და გამოდიოდა, რომ რუსეთი ამ ფაქტს მხარს უჭერდა. დასავლეთის თვალში პუტინის და მედვედევის ასეთმა ვიზიტებმა ცუდი რეზონანსი გამოიღო. მით უმეტეს ისეთი რანგის ადამიანთან შეხვედრამ, რომელიც ეთნოწმენდაშია ეჭვმიტანილი. ალბათ მოსკოვში აღმოჩნდა ისეთი ადამიანი, რომელმაც პუტინს ურჩია, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა.

შესაძლოა, კოკოითის გათავისუფლებას კიდევ ერთი ახსნაც ჰქონდეს, მაგალითად ის, რომ რუსეთმა ეთნოწმენდაში დადანაშაულებული ადამიანი მოიშორა, რითიც დასავლეთის თვალში გარკვეული ქულების დაწერას შეეცადა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ცხინვალში სერიოზული კულუარული ბრძოლა მიმდინარეობს. როგორც ჩანს, კოკოითის მიერ ბარანკევიჩითა და ჯუსოითით მუდმივმა აპელირებამ თავისი შედეგი გამოიღო. კოკოითი გარკვეულ დრომდე სჭირდებოდათ. ალბათ ახლა მისი საჭიროება აღარ არის.

**– ცხინვალში როგორი გამოხმაურება მოყვება ამ ფაქტს?**

– საქმე ის არის, რომ ცხინვალში გაურკვეველ მდგომარეობაში არიან, ჯერ ვერ გაუგიათ, რა ხდება.

**– სეპარატისტების მხრიდან რაიმე სახის პროტესტი ხომ არ არის მოსალოდნელი?**

– არანაირი. უბრალოდ, კოკოითის გარემოცვიდან შესაძლოა რამდენიმე ადამიანმა გააპროტესტოს. ძალიან ცოტა ადამიანია ისეთი, ვინც კოკოითს ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს. ისინიც მისი პირადი გარემოცვის წევრები არიან. ყველა ხვდება, რომ ამ ადამიანმა თავისი თავი ამოწურა.

– მეორე ვერსიით, შესაძლოა, კოკოითი დროებით მოაშორონ იქიდან იმიტომ, რომ ახლა არის მომენტი, როცა უნდა ამუშავდეს გაზსადენი. ჯუსოითმა ძუარიკაუ-ცხინვალის გაზსადენი ცხინვალამდე მიიყვანა.

კოკოითმა ამ გაზსადენის მშენებლობა თავის სახელთან ვერ დააკავშირა, ამიტომ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ არ ამუშავებულიყო, მაგრამ არ გამოუვიდა. აქედან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რუსებს სიტუაციის დასალაგებლად დრო სჭირდებათ და კოკოითი ამ სიტუაციას გაარიდეს. მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა. მე ისევ პირველი ვერსიას ვემხრობი.

**– და თუ კოკოითი მართლაც მოიშორეს, ახალ კოკოითად ვინ შეძლება მოგვევლინოს?**

– მე მაინც ვფიქრობ, რომ ყველაზე მეტი შანსი რობერტ ჯუსოითს აქვს. ეს პიროვნება გაზსადენის მშენებლობის გამო სეპარატისტულ ცხინვალში დიდი პოპულარულობით სარგებლობს. აქედან გამომდინარე, მას უფრო მეტი შანსი აქვს. თუმცა ახალი კანდიდატურის გამოჩენაც მოსალოდნელია.

**–კოკოითის შეცვლით ცხინვალის ქართულ მხარესთან ურთიერთობაში რამე თუ შეიცვლება?**

–არაფერი. გინდა ერთი ყოფილა, გინდა მეორე. უბრალოდ საქმე ისაა, რომ კოკოითი მართლა ისეთი ოდიოზური ფიგურა იყო, რომელთანაც ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ახალ კანდიდატთან კი შესაძლოა დალაპარაკებას აზრი ჰქონდეს, ყოველ შემთხვევაში ქართული მხარისთვის შეურაცხმყოფელი მაინც არ იქნება, როგორც ეს კოკოითის შემთხვევაში იყო.



ინფორმაცია

## „მშვიდობის ორდენით“ დააჯილდოვეს

**ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი რუსეთის მწერალთა კავშირის წევრებმა „მშვიდობის ორდენით“ დააჯილდოვეს. რუსეთის მწერალთა კავშირის წევრები ედუარდ კოკოითის მიწვევით ცხინვალში იმყოფებოდნენ.**

**ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მოძრაობა „მსოფლიოს კეთილი ხალხები“, რომელშიც მონაწილეობენ ის ადამიანები, რომლებიც კეთილ საქმეებს აკეთებენ. თქვენ როგორც მშვიდობისმყოფელ ადამიანს, ნამდვილად გეკუთვნით მისი ტარება, – განაცხადა კოკოითის ორდენით დაჯილდოების ცერემონიალზე რუსეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ ვალერი განიჩევმა.**

ჯი-ეიჩ-ენი



გულის ბუხარი

# რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ჰაერში გამოკიდებულთა ცხოვრებიდან

## რა საერთო აქვთ „ვარდოსნებსა“ და „საკნოსნებს?“

**პოლიტიკოსის საუკეთესო თვისება: კარგად მოტყუების ხელოვნება დღევანდელი ჩვენი შოუდ ქცეული ცხოვრების უმთავრესი ატრიბუტია – მოტყუება „ვარდოსნებსა“ და მათ ოპოზიციას ძვალსა და რბილში გასჯდომია. გამობულვარებულ და გამოფასადებულ ხალხს კი ველარ გაურკვევია, ვის ენდოს. სწორედაც რომ ნდობა დაკარგა, ერთი მხრივ, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გამსხვისებელი ხელისუფლების და, მეორე მხრივ, საკნების ოპოზიციის სანახაობის მიმართ.**

მიეცი ბრბოს პური და სანახაობა! – ეს ძველთაძველი სიბრძნე „ვარდოსნებმაც“ და „საკნოსნებმაც“ მშვენივრად გამოიყენეს... სათავისოდ! ქულებს იწერს ხელისუფლება და ქულებს იწერს ოპოზიცია. ხალხი კი... ჰაერშია გამოკიდებული. ელდარ შენგელაიას შერეკილების ბედს ნატრობს – წავიდეს, გაფრინდეს, გადაიკარგოს.



მათ შემყურეს რაიმე საპროტესტო მუხტზე ლაპარაკი ზედმეტად მიაჩნია, დაშლილ-დანაკუწებული ოპოზიცია – მისი სუბიექტები თავისთვის ცეკვავენ და მღერიან. თუ ვინიცობაა, შემოდგომაზე მაინც მოახერხებენ ნანინანატრი საპროტესტო ტალღის აგორებას და კართაგენის დანგრევას, მგონია, ეს სიხარული ნაადრევი გამოდგება, რადგან ძალიან მალევე, თუნდაც გაზაფხულზე ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით ახალი ე. წ. ფსევდოოპოზიცია მოგვევლინება, აუცილებლად დემოკრატიაგარეული დასახელებით. ქრისტიან-დემოკრატებსა და თავისუფალ დემოკრატებს შეემატებათ ვთქვათ, ასეთი – ერთიანი დემოკრატები ანდა, მშრომელი დემოკრატები...

ერთი სიტყვით, ხალხი ალთასაა, ოპოზიცია – ბალთას. თითქმის ყველა სერიოზულ ძალად მიჩნეული პარტია კუდს უცხო ქვეყანას უქიცინებს – ზოგი ამერიკას ეკეკლუცება, ზოგი რუსეთს... ეროვნული ინტერესები მეასეხარისხოვნად ქცეულა, საქართველო კი სისხლისაგან იცლება.

## „...მენატრება ვიყო გუანტანამოელი!“

**ერთი ამბავია ატეხილი „ვაშინგტონ პოსტის“ წერილზე, სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ საქართველოს შეუძლია მიიღოს იმ ტუსაღების ნაწილი, რომლებიც იმყოფებიან კუბის გუანტანამოს უბეში განთავსებულ ამერიკის ბაზის ციხეში.** საქართველო მზადაა, მიიღოს ამერიკელი პარტნიორების წინადადებაო, – წერენ გაზეთები, ხელისუფლება და კონკრეტულად რეინტეგრაციის მამამთავარი – მინისტრი ამას უარყოფს, – ჯერ საკითხს ვიხილავთო! მაგრამ როცა ამერიკის ყურმოჭრილი მონა ხარ, ისედაც ცხადია, ეს განხილვა როგორი შედეგით დამთავრდება. რამდენს უნდა გაუძლოს ამ საცოდავმა საქართველომ – ჩინელებს, არაბებს, თურქებს თუ სხვა ათასი ჯურის შემოხიზნულთ, ნაწილ-ნაწილ, ნაბიჯ-ნაბიჯ რომ მოდიან და ეპატრონებიან ჩვენს მიწა-წყალსა და ბუნებრივ სიმდიდრეებს.

ახლა ეს – ავღანეთსა და ერაყში ნაომარი ტერორისტებიო!.. მახსენდება ერთი ქართველი მწერლის ბოლშევიკების-



დროინდელი სტრიქონი: „კმარა სიმშვიდე, მენატრება ვიყო ჩინელი“. ამ ლექსს მე ასე გადავაკეთებდი: „კმარა სიმშვიდე, მენატრება ვიყო გუანტანამოელი!“

## „სიყალბე რეკავს!“

**ხელმწიფის ნავზე ბევრი დაწერილა. დაიწერება მომავალშიც... დრონი მიდიან და მოდიან, ეს ნავი კი უცვლელია. მხოლოდ ერთეულები ახერხებენ, არ ჩაუხტნენ ხელმწიფეს ნავში...** მაგრამ საცდური მრავალ არს – ინდაურებიდან დაწყებული მუხრანის წყაროთი დამთავრებული... ტელეეკრანზე პრეზიდენტთან ერთად გამოჭიმულმა მუხრან მაჭავარიანმა, მშობლიური სოფლის – არგვეთის სანახებიდან ინატრა, ნეტავი, პრეზიდენტმა წყალი გამომიყვანოსო! ეს ნატვრა ხმამაღლა განუცხადა მასთან სტუმრად ჩასულ პრეზიდენტს – წყალი გამომიყვანეთ და თუნდაც მუხრანის სახელი უწოდეთო... სხვაც ბევრი „გულისამაჩუყებელი“ რამ მოვისმინეთ იმ დღეს ჩვენი საყვარელი პოეტისგან – და რაც არსებითია, დავინახეთ, რომ ცალი ფეხით კი არა, თავიანფეხებიანად გადაშვებულა „ვარდოსანი“ ხელმწიფის ნავში!

ერთი რამ მენიშნა – „ვარდოსნისთვის“ ეს მორიგი პიარი იყო და მიზანსაც მიაღწია, პიარისთვის მუხრან მაჭავარიანის ავტორიტეტი გამოიყენა და ყველას დაანახა, რომ მუხრანიც კი მის ნავში ლივლივებს...

ასეა, ფასეულობათა გაუფასურებისა და აღრეულ დროში „ყველაფერი მოსულა“ – იქ, სადაც „უცნობს“ ერის სახეს უწოდებენ და ილია ჭავჭავაძეს შეადარებენ, ვის რაღა უნდა მოეკითხოს?

„სიყალბე რეკავს!“.. და მაინც როგორ დაგვწყვიტეთ ყველას გული ბატონო მუხრან! როგორ გგონიათ, წლების მერე, მგზავრი, რომელიც თქვენს წყაროზე მოიკლავს წყურვილს, ამ ნავში ჯდომას არ გაგიხსენებთ?

## რას გვიშველის სამი კაბა?

**სამი კაბის ამარა დარჩენილი შემოდგომა კი მოდის... ეს რას ნიშნავსო, – იკითხავს მავანი, რას და სამ ოპოზიციონერ ქალ-ლიდერებს. მხოლოდ ესენი ვერ მოისყიდეს ვარდოსნებმა – ნინო, სალომე და ეკაო. ამ სამაიას იმედზეა შემოდგომისპირს მიღწეული ოპოზიცია.**







საპროტესტო ტალღა უნდა ავაგოროთო! – უკვე მერამდენედ ვითომ აგორებენ და ვერც აგორებენ... სადღაც მოუსავლეთში აგზავნიან, ამთავრებენ სააკაშვილსა და მის „ვარდოსნებს“, მაგრამ ბოლოს თავად რჩებიან პირში ჩალაგამოვლებულები, დამთავრებულები და უხერხემლოები... არა მგონია, ბურჯანაძე-ზურაბიშვილი-ბესელიას ტანდემმა ფეხზე დააყენოს სრულიად საქართველო და კართაგენი დაალაშქრინოს. არა მგონია, რადგან საკუთარი სახე ყველამ გააშიშვლა და გამოაჩინა. ახლა უნდობლობის მახვილი ჰკიდია საქართველოს თავზე, რომელსაც თავისი შვილების უგუნურებითა და უთავობით ჭრილობებიდან სისხლი სდის და ლეგენდარული „ტიტანიკივით“ იძირება სიცრუისა და ფარისევლობის ოკეანეში...

**თამარ შაიშმელაშვილი**

ვაიმე ენავ!

# ასეთი წიგნით ქართული ენა არ უნდა ისწავლებოდეს!

## ორდინარული სახელმძღვანელო არაორდინარული აზრებითა და კურიოზებით

**ვისაუბრებ წიგნზე, რომელსაც ისტორია ჰქვია, მაგრამ არ არის ისტორია და ესეც არის ამ წიგნის ერთ-ერთი სერიოზული ნაკლი.**

ქუთაისის ა. წერეთლის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტმა 2006 წელს გამოსცა „ქართული ენის ისტორია“ პროფ. **ტ. ფუტკარაძის** საერთო რედაქციით (რეცენზენტები: პროფესორები დ. მელიქიშვილი, მ. ტაბიძე, რ. შეროზია). ეს არის სახელმძღვანელო ბაკალავრიატის სტუდენტებისათვის (პირველკურსელთათვის)... ენის ისტორია გულისხმობს ენობრივი ფაქტებისა და მოვლენების განვითარების ისტორიის აღნუსხვას: რა იცვლება რით, როგორ და როდის... მარტივად რომ ვთქვათ, ამ კითხვებს უნდა გასცეს პასუხი ენის ისტორიამ... ამ წიგნში ენის ისტორიასთან მიახლოებული მხოლოდ მეორე თავია (ხუთიდან!); დანარჩენებს საერთო არაფერი აქვს ენის ისტორიასთან... სამწუხაროდ, ასე ვაწყებინებთ სწავლას პირველკურსელებს – წიგნს (და კურსსაც) ვარქმევთ სხვა სახელს და ვასწავლით სხვა რამეს...

ამ წიგნში სადავო და მიუღებელი რაც არის, ყველაფერს რომ გამოვედევნოთ, ერთი ამხელა წიგნი დაიწერება... ამიტომაც საგაზეთო წერილში ყურადღებას გავამახვილებთ რამდენიმე პრინციპულ საკითხზე.

წიგნის სანდოობის ხარისხი ძალიან დაბალია: მიზნობრივად ხდება ფაქტების გაყალბება. ერთი მაგალითი: წიგნში საუბარია იმის შესახებ, რომ სვანური და ზანური არ არის ენები, დიალექტებია ქართული ენისა ისეთივე, როგორც იმერული, კახური... ასე ფიქრობდა სილოვან ხუნდაძეცო და მოჰყავთ მისი ციტატა: „საჭიროა, რომ ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს, რომ **მეგრული და სვანური შტოებია ქართული ენისა** და არა განსხვავებული ენები“ (გვ. 34). აქ გამოტოვებულია სიტყვა **ენები**; დედანში ასე იკითხება; **„მეგრული და სვანური ენები შტოებია ქართული ენისა“...** ფაქტია, ს. ხუნდაძე მეგრულსა და სვანურსაც ენებს უწოდებს... წიგნში კი სხვაგვარად სჭირდებათ და გააყალბეს ფაქტი; თუმცა სხვა საჭიროებისათვის მოხმობილ იმავე ციტატაში 38-ე გვერდზე „ენები“ გაეპარათ...

სხვა მაგალითი სიყალბისა: „გ. გოგოლაშვილის აზრით, არსებობს **სამი საერთო-სახალხო ქართული ენა** (ძველი, საშუალი და ახალი) და **ორი ქართული სალიტერატურო ენა** (ძველი და ახალი)“ (გვ. 150). ე. ი. გოგოლაშვილის აზრით, ხუთი ქართული ენააო! არადა, ჩვენ ვწერდით იმის თაობაზე, რომ უნდა გაიმიჯნოს, რის პერიოდიზაციას ვახდენთ, საერთო-სახალხო ენისას თუ სალიტერატურო ენისას; სალიტერატურო ენაში ორი პერიოდი უნდა გამოიყოს – ძველი და ახალი, საერთო-სახალხო ენაში შესაძლებელია გამოიყოს სამი (და შეიძლება მეტიც) პერიოდი... მაგრამ გოგოლაშვილი ოპონენტია რედაქტორისა და ამიტომ ფაქტის გაყალბებით სურთ „შური იძიონ“ ოპონენტზე... სტუდენტს რისთვის სჭირდება ეს? არა, ეს რედაქტორს სჭირდება და იწირება სტუდენტის ინტერესი... ვატყუებთ სტუდენტს და ამით ვიღაც იკმაყოფილებს პატივმოყვარეობას...

აკვიატებული აზრის ჭეშმარიტებად გამოცხადებისათვის უამრავ ტყუილს ამბობენ. რამდენიმე მაგალითი: სვანური და ზანური არ არის ენები, ისინი ქართული ენის დიალექტებია – ეს აკვიატებული აზრია რედაქტორისა და მისი ორიოდე თანამოაზრისა. ორმოციოდე მოღვაწეს ჩამოთვლიან, ივანე კერესელიძიდან დაწყებული ნოდარ ჯალაღონიათი და ერეკლე საღლიანით დამთავრებული, ვინც, მათი აზრით, „არგუმენტირებულად უკუაგდო ქართველთა დამაქუცმაცებელი ენობრივი თეორია“ (ე. ი. სვანური და ზანური ენებიაო) (გვ. 34). ლინგვისტური საკითხის გარკვევისას ი. კერესელიძეს, ნ. ჯალაღონიას, ე. საღლიანს და სხვებს რომ იმოწმებენ და არა ა. შანიძეს, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, გ. ახვლედიანსა თუ სხვებს, ეს ერთი მხარეა ამ წიგნის ავ-კარგისა... იმ ორმოცამდე მოღვაწის „არგუმენტირებულ აზრს“ ვერ ჩავყვებით (უმრავლეს შემთხვევაში ასეთი არც არსებობს და, რამდენადაც ვიცი, ბევრ მათგანს არც ჰქონია და არცა აქვს ენათმეცნიერობის პრეტენზია), მაგრამ რამდენად სანდოა ეს მსჯელობა, ორიოდე მაგალითს მოვიყვან:

სახელმძღვანელოში წერენ, რომ სვანურსა და ზანურს ქართულის დიალექტებად მიიჩნევენ იაკობ გოგებაშვილი, პეტრე ჭარაია, სილოვან ხუნდაძე, მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძეო...

ი. გოგებაშვილის შემთხვევაში იმოწმებენ წერილს „დაბალი ღობე ერთა შორის“. ცხადია, იმ დროისათვის ტერმინები დაზუსტებული არ არის და კილოს, კილოკავს, დიალექტს, ენას იაკობი სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენებს. სვანურსა და მეგრულს ერთ შემთხვევაში თუ კილოს უწოდებს, სხვაგან ენად მოიხსენიებს. ავტორს რომ ამ წერილის გარდა სხვა ნაშრომიც წაეკითხა იაკობისა, ამაში დარწმუნდებოდა. ამონარიდები „ბუნების კარიდან“: „მთავრობამ მოინდომა **მეგრულს ენაზედ** წირვალოცვის შემოღება“... **„ჭანური ენა** იგივე **მეგრული ენაა** ცოტაოდენი განსხვავებით. **ქართული ენაც** ბევრმა ჭანმა ისევე კარგად იცის, როგორც მეგრელებმა“; **„სვანური ენაც** ქართული ენიდგან არის წარმომდგარი“ და სხვა (უფრო ვრცლად იხ.: „ქართველური ენობრივი სივრცე იაკობ გოგებაშვილის თვალთახედვით“: ზოგადი ენათმეცნიერების ბერმუხა – I რესპუბლიკური კონფერენციის ნაშრომები,ეძღვნება აკადემიკოს გიორგი ახვლედიანის ხსოვნას – წყალტუბო, 2008). ასე რომ, არ ფიქრობს იაკობი ისე, როგორც სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი...

არც პ. ჭარაია წერს იმას, რასაც რედაქტორი კითხულობს: „სამხრული ჯგუფი კავკასიის **ენებისა** შეიცავს **ენებს** ზოგადი ქართული გვარისას, რომელიც შედგება შემდეგის დიალექტებისაგან: 1. საკუთრივ ქართულისა, 2. მეგრულისა, 3. ლაზურისა და 4. სვანურისა. ყველა ამ **ენებს...**“ აქ ლოგიკა რომ დარღვეულია, ის კი არ არის მთავარი, ქართულს, სვანურს, მეგრულსა და ჭანურს რომ ხან **ენებს** ეძახის და ხან **დიალექტებს,** ეს არ ეთანხმება რედაქტორის სურვილს...



არც მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე მიიჩნევს სვანურსა და მეგრულ-ჭანურს ქართულის დიალექტებად (იხ. „ქართველური ენები და დიალექტები“, 2007 წ. გვ. 31)... სილოვან ხუნდაძეზე ზემოთ მოგახსენეთ... სხვათა მაგალითების მოყვანაც შეიძლებოდა, მაგრამ, ვფიქრობთ, ესეც საკმარისია იმის საჩვენებლად, რომ ატყუებენ სტუდენტებს საკუთარი აკვიატებული აზრის დამკვიდრების მიზნით... ისევ გაწირვა სტუდენტის ინტერესისა საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად...

უცნაური მეთოდით ცდილობს რედაქტორი თავისი ან თავისი თანამოაზრეების „თვალსაზრისის“ უპირატესობის ჩვენებას კლასიკოსთა თვალსაზრისთან შედარებით. მაგალითი: წიგნში ვკითხულობთ – „თანამედროვე იბერიულ-კავკასიურ ენათა და დიალექტთა დაჯგუფების რამდენიმე სქემა არსებობს; აქ წარმოვადგენთ არნ. ჩიქობავას (1952) და თ. გვანცელაძის ვარიანტებს“ (გვ. 23). არნ. ჩიქობავას თვალსაზრისი 1952 წლის სახელმძღვანელოს მიხედვითაა წარმოდგენილი; არადა, არნ. ჩიქობავამ ეს თვალსაზრისი დააზუსტა და 1965 და 1979 წლებში გამოცემულ სახელმძღვანელოებში წარმოადგინა. საერთოდ, წესი ასეა: როცა ამა თუ იმ ავტორის თვალსაზრისი იცვლება, ბოლო ვარიანტს ვანიჭებთ უპირატესობას. ამ წიგნში 1952 წლის ვარიანტი იქნა წარმოდგენილი იმისათვის, რომ ეს კომენტარი გაკეთებულიყო: „... ამ ჯგუფში დასახელებული არ არის ჩეჩნური და ინგუშური, ვინაიდან 1952 წელს ჩეჩენ-ინგუშები გადასახლებულნი იყვნენ შუა აზიაში და **საბჭოთა ცენზურის მიერ იკრძალებოდა მათი ხსენებაც კი“...** ე.ი. არნ. ჩიქობავა თვალსაზრისს საბჭოთა ცენზურის მიხედვით აყალიბებდაო; ეს კი რედაქტორისთვის „დამატებითი არგუმენტია“ იმისა, რომ **ქართველი ენათმეცნიერები სვანურსა და მეგრულ-ჭანურს რუსეთის იმპერიის შეკვეთით აცხადებდნენ ენებადო** (რაც არაერთგზის აღუნიშნავს რედაქტორს თავის „ნაშრომებში“)... აკვიატებული აზრის დამკვიდრებისათვის რომ ყველანაირ ხერხს მიმართავენ, ეს მათი პრობლემაა, მაგრამ რა შუაშია სტუდენტი? ორდინარულ სახელმძღვანელოში ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს (საერთოდაც არ უნდა ხდებოდეს, მაგრამ...)...

ზ. სარჯველაძის „ძველი ქართული ენის“ წინასიტყვაში რედაქტორმა კ. დანელიამ ავტორს უსაყვედურა: „არ იყო აუცილებელი ორდინარულ სასწავლო წიგნში სადავო საკითხების თუ დებულებათა შეტანა“ და რამდენიმე კონკრეტული საკითხი დაასახელა, არც თუ პრობლემური... სადავო და უცნაურ საკითხთა კორიანტელია წინამდებარე წიგნში... ზემოთ არნ. ჩიქობავასა და თ. გვანცელაძის სქემები ვახსენეთ; საინტერესოა, როგორ უხსნიან ავტორები პირველკურსელებს იმას, რომ არნ. ჩიქობავას სქემაში წარმოდგენილი რვა ენა თ. გვანცელაძის სქემაზე ერთ ენადაა წარმოდგენილი (!) ასეთნაირად: **ანდიური (ბოთლიხურის, ღოდობერიულის, ახვახურის, კარატაულის, ბაგვალურის, ტინდიურის, ჭამალალურის ჩათვლით). რას ნიშნავს „ჩათვლით“?** ფრჩხილებში წარმოდგენილი ერთეულები ენებად მოიაზრება თუ დიალექტებად? ანდა არნ. ჩიქობავას სქემაზე რომ 33 ენობრივი ერთეულია (სამეცნიერო ლიტერატურაში ძირითადად გაზიარებული თვალსაზრისი) და თ. გვანცელაძისაზე – 17, ამას როგორ უხსნიან პირველკურსელებს? ასეთი სადავო და, ხშირ შემთხვევაში, მიუღებელი თვალსაზრისები საერთოდ არ უნდა იყოს ამგვარ წიგნში...

სკოლიდან მოსულმა სტუდენტმა იცის, რომ ქართულში 7 ბრუნვაა. ამ ვარიანტის გვერდით წიგნში მოცემულია წიგნის რედაქტორის „ტ. ფუტკარაძის მიერ წარმოდგენილი სახელური პარადიგმა“, რომელიც 18 ერთეულისაგან შედგება... ა. შანიძის 7 ბრუნვა და ტ. ფუტკარაძის 18 ბრუნვა გვერდიგვერდ!

ანდა: ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას მიერ გამოყოფილი ბრუნების სამი ტიპის (სხვადასხვა ვარიანტი) გვერდით წარმოდგენილია ტ. ფუტკარაძისეული რვა (!) ჯგუფი...

ეს „პრინციპი“ მთელ წიგნშია გატარებული: ერთი მხრივ, ა. შანიძისა და არნ. ჩიქობავას თვალსაზრისები და, მეორე მხრივ, ტ. ფუტკარაძისა... თანაც ეს უკანასკნელი მეტ ერთეულს გამოყოფს, უფრო „ღრმად“ და „გლობალურად“ ხედავს ენობრივ პრობლემებს; ასე იყო ბრუნვათა რაოდენობაზე, ასეა ბრუნების ტიპებთან დაკავშირებით, დიალექტთა რაოდენობისა თუ მწკრივთა რაოდენობის შემთხვევაში. ისევ მაგალითი:

საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისის მიხედვით ქართულში 11 მწკრივია; ცალკეულ გამოკვლევებში საუბრობენ 8 ან 16 მწკრივის შესახებაც; ტ. ფუტკარაძე აქაც „ჯობნის“ სხვებს და სისტემას სამ საფეხურად წარმოადგენს:

I – (დიდი) პარადიგმა;

II – (კლასიკური) პარადიგმა;

III – (მცირე) პარადიგმა (გვ. 180) და I-II საფეხურზე 26 (!) ერთეულს წარმოადგენს და ამას მიიჩნევს „მცირე პარადიგმა“... ერთ (დიდ) პარადიგმაში წარმოდგენილია ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი და ოთხპირიანი ზმნები; კაუზატიური და არაკაუზატიური, სხვადასხვა გვარისა და ქცევის ფორმები და სხვა!... და ვიმეორებთ: ამას ყველაფერს სთავაზობენ პირველკურსელს ორდინარულ სახელმძღვანელოში (არ დაივიწყოთ, ისტორიაში!)... ვის სჭირდება ასეთი სახელმძღვანელო? დავიჯერო, სტუდენტი ახერხებს, ოდნავ მაინც გაერკვეს ვითარებაში? წარმოუდგენელია!

უცნაურია, მაგრამ წიგნის რედაქტორის განდიდების საინტერესო ხერხია მიგნებული: პარაგრაფში „ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრობლემა“ ნ. მარის. ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ზ. ჭუმბურიძის, ზ. სარჯველაძის, ფ. ერთელიშვილისა და სხვათა თვალსაზრისები ერთ გვერდზეა გადმოცემული, ხოლო ტ. ფუტკარაძის „თვალსაზრისი“ – ორ გვერდზე... ასეთივე თანაფარდობაა კლასიკოსებისა და ფუტკარაძის თვალსაზრისებს შორის პარაგრაფებში „სახელის პარადიგმა“, „ზმნის პარადიგმა“, „ქართველური ენა-კილოების შესახებ“ და სხვა... ასეთ „ობიექტურ“ სურათს სთავაზობს სახელმძღვანელო პირველკურსელებს... აღარას ვამბობთ რედაქტორის თვალსაზრისთა მეცნიერულ ღირებულებაზე...

ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს „ქართველთა ენა-კილოების“ გამოყოფისა და განდასების ის ვარიანტი, რომელიც სახელმძღვანელოშია წარმოდგენილი (ავტორი ტ. ფუტკარაძე); ამ კურიოზებითა და უცნაური მსჯელობებით სავსე „თვალსაზრისზე“ საგაზეთო წერილში ვერ ვისაუბრებთ. ამის შესახებ არაერთხელ ითქვა და დაიწერა (იხ.: საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, თბ., 2004, გვ. 3-8; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, IX, თბ., 2005 გვ. 126-136; ქართველური ენები და დიალექტები (ერთი სამეცნიერო პოლემიკის გამო), თბ. 2007, გვ. 97-107; არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესიის მასალები, 2008, გვ. 32-39); გავიმეორებთ მხოლოდ დასკვნას, რომელიც ადრე გავაკეთეთ: **ეს არის ორიგინალურობისაკენ სწრაფვა ცრუაღმოჩენათა გზით...** სახელმძღვანელოში ამგვარი თვალსაზრისის შეტანა შეცდომა კი არა, დანაშაულია...

კიდევ ერთი უცნაურობა ამ წიგნისა: მეტი დამაჯერებლობისა და არგუმენტირებულობისათვის რედაქტორი ხშირად იმოწმებს საკუთარ თავს; ზოგჯერ არგამოცემულ წიგნს, როგორც გამოცემულს. მაგალითი: 45-ე გვერდზე ვკითხულობთ – **ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, ე. დადიანი, „ქართველური დიალექტოლოგია“, 2006.** როგორც ირკვევა, ასეთი წიგნი ჯერ არ გამოცემულა (შეიძლება, არც დაწერილა...)...

კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა ამ წიგნზე, მაგრამ ყველა შენიშვნას ვერც საგაზეთო წერილი დაიტევს და არც ჩვენ გვაქვს ამისი დრო... ფაქტია, XXI საუკუნის საქართველოში ასეთი სახელმძღვანელოთი არ უნდა ისწავლებოდეს ქართული ენა!.. თუმცა რა შუაშია XXI საუკუნე! – ქართული ენის შესწავლის ისტორიაში (მეტ-ნაკლებად ვიცნობ...) მე ასეთი მეცნიერულად შეუწყნარებელი წიგნი არ მეგულება...

***მინაწერი: მსგავსი პრობლემები დგას მეორე ქუთაისურ სახელმძღვანელოშიც –„ქართული ენის პრაქტიკული კურსი“, ქუთაისი, 2002 – რომელიც „დაწერილია წიგნის რედაქტორის – პროფ. ტ. ფუტკარაძის მიერ შემუშავებული პროგრამა-პროსპექტის მიხედვით“. ამ შემთხვევაში საქმეს ისიც ართულებს, რომ წიგნი არასპეციალური ფაკულტეტების სტუდენტებისათვის არის გამიზნული...***

**გიორგი გოგოლაშვილი**

გლობუსი

# გაფრენილ სიტყვას ვეღარ დაიბრუნებ

**მსოფლიო პოლიტიკურ ცხოვრებაში აგვისტო მკვდარ თვედ ითვლება. ასეა ბევრ ქვეყანაში, განსაკუთრებით ცივილიზებულს რომ უწოდებენ ქართველი „პოლიტიკოსები“. თვითონაც ისვენებენ და სხვასაც ასვენებენ ტელეეკრანზე გამოჩენით. საქართველოსთვის ეს დაუწერელი კანონი არ მოქმედებს, რისი დამადასტურებელია არა მარტო წლევანდელი სამთავრობო მინისტრგუაცია, არამედ გასული აგვისტოს მოვლენები, რომლებმაც შეძრა სამყარო. ამ სიტყვებში გადაჭარბებული არაფერია, სხვას ვერაფერს იტყვი, როდესაც ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალის საყურებლად გამზადებულ მსოფლიოს შორეული და უცნობი ცხინვალის ომის ვიდეოკადრებით გამოუტენი თავს. საქართველომ მოახერხა ის, რაც მოუხერხებლად აღიქმებოდა თუნდაც ახალგაზრდა დამოუკიდებელი ქვეყნის 18-წლიან ავანტიურისტულ ისტორიაში.** გასული წლის სავალალო აგრესიის ფონზე წლევანდელი აგვისტოს სახელისუფლებო პერტურბაცია უწყინარი მასტურბაციაა, თუმცა ახალი თავდაცვის მინისტრის ალზევება ფათერაკიანი მომავლის მომასწავებელია. პრეზიდენტის კუშტი განცხადება ახალაიას დანიშვნასთან დაკავშირებით, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის ნათქვამი ერთობ აგრესიული სიტყვები, სერიოზული განსჯა-დაფიქრების საბაბს იძლევა. სიტყვა ძალაუნებურად გვიბიძგებს ვიფიქროთ კონფლიქტურ ხვალინდელ დღეზე. **რა გაეწყობა „ხალხის რჩეული პრეზიდენტისა და მთავრობის“ შემხედვარე ქვეყანა არაერთ ხათაბალას გადაეყრება.**



**ოპოზიციური პარტიების და „წითელი“ თუ „ცისფერი“ ცნობადი სახეების ინდიფერენტიზმიდან გამომდინარე, 2013 წლამდე მშფოთვარე ცხოვრება გარანტირებული გვაქვს.**

მორიგი სახელისუფლებო გადაადგილება ბევრ კითხვას აჩენს, რომელთა შორის მთავარი ის კი არ არის, კლანთა ბრძოლასთან გვაქვს თუ არა საქმე, არამედ „სტრატეგიული პარტნიორის“ როლი და მნიშვნელობაა. თავდაცვის მინისტრის თანამდებობა თავისთავად გულისხმობს პარტნიორთან შეთანხმებას. თუ ამას არ აქვს ადგილი, ზედმეტია პარტნიორობაზე ლაპარაკი. არაერთხელ მითქვამს, რომ აშშ-თვის საქართველო ტერიტორიაა და მეტი არაფერი! ვაშინგტონის მიერ დაპურებული ხელისუფლებისა და ოპოზიციის მიხედვით ვაშინგტონი ყველაფერია. ახალი თავდაცვის მინისტრის დანიშვნით არა მარტო პრეზიდენტმა, არამედ „სტრატეგიულმა პარტნიორმაც“ სახეში გაუთხლაშუნა საქართველოს, ასეთ შემთხვევაში იტყვიან – ახია მასზეო.

დავუბრუნდეთ აგვისტოს სხვა მოვლენებს. 26 აგვისტოს საქართველოს ყოფილმა ავტონომიებმა რუსეთის მიერ ნაბოძები დამოუკიდებლობის პირველი წლისთავი აღნიშნეს, ხოლო ყოფილი დედასამშობლოს ხელისუფლებამ მტკიცედ განაცხადა, რომ ქართველები, აფხაზები და ოსები მომავალში ერთად იქნებიან, ოღონდ არ დაუკონკრეტებია როდის. აქეთა მხრიდან კვლავ „გულდათუთქულად“ გამოითქვა ვარაუდი რუსეთის მიერ აფხაზი ეთნოსის ჩაყლაპვის თაობაზე. არც ე. წ. აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის თავმჯდომარემ დაახანა და მანაც ძმობისა და ერთობისკენ მოუწოდა იქითურებს, სამწუხაროდ, 17 წლის დაგვიანებით. ძნელია დაარწმუნო აფხაზი შენი სიტყვების კეთილშობილებაში, როდესაც წინ განვლილი ცხოვრების აგრესიული წლებია. ძნელია დაარწმუნო ისინი და ოსები, როდესაც გასული აგვისტო არსებობს. აფხაზები თვალს ავლებენ უახლესი ისტორიის ფურცლებს და განსაკუთრებით იხსენებენ 1992 წლის 14 აგვისტოს, რომელმაც თვალნათლივ დაანახა მათ თუ ვინ დაემუქრა აფხაზურ ეთნოსს. მსგავსი გასული წლის 7-8 აგვისტოს გამეორდა, ოღონდ ცხინვალის მიმართულებით. პოლიტიკასა და ისტორიაში ფაქტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ოდნავი უზუსტობა უმალ იწვევს უნდობლობას. 14, 8 აგვისტომ უნდობლობის ამოუვსები ორმო გააჩინა. და რაც არ უნდა გულდათუთქულად ილაპარაკონ აქეთურებმა იქითურთა რუსეთთან ასიმილაციის შესახებ, იქითურთათვის დაუჯერებელი იქნება. **ისე კაცმა რომ თქვას, იქითურთა „გადარჩენასთან“ ერთად აქეთურებს საკუთარ გადარჩენაზე ეფიქრათ, ურიგო არ იქნებოდა. მძიმე დემოგრაფიული ვითარება, მოკვდაობის მაჩვენებლების მატება, მოსახლეობის ზრდა სომეხთა და აზერბაიჯანთა ხარჯზე, დაქცეული ეკონომიკა და გაუსაძლისი სოციალური პირობები, იქითურთა ჩრდილოეთისკენ მზერის საფუძველს ქმნის. დემოგრაფია ის უმთავრესი საკითხია, რომლითაც უნდა იწყებოდეს და თავდებოდეს ხელისუფლების ნებისმიერი თავყრილობა. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველო ისე არასდროს მდგარა გადაგვარების წინაშე, როგორც დღეს. ამ საფრთხეს ერთიორად აღვივებს ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის რექტორის, თევზაძის და მისთანების განცხადებები, მშობლიურ ენად ინგლისურის გადაქცევის თაობაზე. გაქრობის პრობლემა ორივეს გაქვს – ერთს რუსეთის, მეორეს – ამერიკის მხრიდან. ასეთ პირობებში მყოფი, სხვას ვერაფრით მოხიბლავ. ვერც მაშინ მოხიბლავ, როდესაც ნორმად გაქვს ქცეული დაპირება და შეუსრულებლობა.** სიტყვისა და საქმის დაშორებით დაიწყო დამოუკიდებლობამიღებული საქართველოს ურთიერთობა საკუთარ ავტონომიებთან. აფხაზები ძნელად ივარაუდებდნენ, რომ გაეროში დადებულ ფიცს, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ალ. ჩიკვაიძის სიტყვის სახით (1992 წლის 31 ივლისიძ, სულ რამდენიმე დღეში (14 აგვისტოძ ომი მოყვებოდა. გაეროში გაწევრების სიტყვა არა მარტო ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების, არამედ საკუთარი ავტონომიების დასამშვიდებლადაც იყო ნათქვამი. საქართველო ვალდებულებას ილებდა აღარ მოქცეულიყო ისე, როგორც 1991 წლის ბოლოს და 1992 წლის დასაწყისში. მკითხველს შევახსენებ, რომ იმ მოვლენათა გამო საქართველოს გაეროში გაწევრებას პრობლემები შეექმნა. გამსახურდიას ლეგიტიმური ხელისუფლების დამხობის და ქვეყნის სათავეში არარჩეული, გაუგებარი საბჭოს არსებობის გამო, ქვეყანა გაეროს მიღმა აღმოჩნდა. რის ვაი-ვაგლახით და იმის გათვალისწინებით, რომ დროებითი ხელისუფლება ჩაატარებდა საპარლამენტო არჩევნებს, გაეროს კარი გაიღო. „საქართველოს რესპუბლიკა ძალის გამოყენებას ან მის მუქარას არ განიხილავს პოლიტიკის კანონიერ იარაღად და ნებისმიერი რეგიონული თუ სხვა კონფლიქტის შემთხვევაში იბრძოლებს მხოლოდ მოლაპარაკების გზით მათი გადაჭრისთვის. საქართველოს რესპუბლიკა ევროთათბირის პროცესის შეთანხმების საფუძველზე დაიცავს თავის ტერიტორიაზე მცხოვრები ეროვნული უმცირესობის უფლებებს“. ვერაფერს იტყვით. პასუხისმგებლობით აღსავსე სიყტვებია, მაგრამ საქმე? საქმე, სავალალო, თანაც სულ რაღაც 14 დღეში. ცხადია, სიტყვის მთქმელი აქ არაფერ შუაშია. ისიც ისე გააოცა შევარდნაძის გადაწყვეტილებამ, როგორც აფხაზები.

საერთაშორისო არენაზე ტყუილით დაწყებულ დიპლომატიურ ნაბიჯს, სხვა მსგავსი მოჰყვა, რამაც არაჯანსაღი აზრი ჩამოაყალიბა საქართველოზე და რომ არა რუსეთის მიმართ მტრულ-მეტოქეობრივი დამოკიდებულება, ჩვენდამი ურთიერთობა ნაკლებ სახარბიელო იქნებოდა. დასავლეთს, განსაკუთრებით აშშ-ს აწყობს მხოლოდ მორჩილი რუსეთი და არა გლობალურ პირველობაში მეტოქე. აშშ-ს აწყობს საქართველო, როგორც რუსეთისთვის პრობლემების შემქმნელი ქვეყანა. საქართველოს ხელისუფლებასაც აწყობს ეს სტატუსი და ერთგულების დასადასტურებლად შემთხვევას არ უშვებს ხელიდან. სულ ახლახან პენტაგონის პრეს-მდივანმა მორელმა განაცხადა, რომ საქართველოს სურს იყოს ავლანეთში სამშვიდობო ძალებში და აშშ-ი მზადაა მხარი დაუჭიროს მას. მხარის დაჭერა ნიშნავს 100 ამერიკელი საზღვაო ქვეითის მიერ ქართული ბატალიონის გაწვრთნას ავღანეთის ომისათვის. დარწმუნებული ვარ ახალი მინისტრის ინიციატივით ქართველ მეომართა რაოდენობა გაიზრდება. ცნობისთვის მოგახსენებთ, რომ ერაყში სამხედროთა რაოდენობით საქართველო მესამე იყო აშშ-სა და ინგლისის შემდეგ.

ხელისუფლება ქვეყნის განვითარების ახალ გეგმებს გვაფრქვევს ერთჯერადი მინისტრების „შემოქმედებაზე“ დაყრდნობით. გრანდიოზულ წინსვლასაც აქვს ადგილი ავტომანქანების სავალი ნაწილის შევიწროვებისა და პარკინგის ახალი, მე ვიტყოდი ფულის გამოძალვის მეთოდის დანერგვაში. **იოლი ფულის შოვნის ხერხს ქალაქის მერიამ და მისმა გათავხედებულმა მერმა დიდი ხანია მიჰყვეს ხელი, მაგრამ სიახლე და ამ სიახლით საზოგადოების დასჯის სურვილი ყოველგვარ ზღვარს სცილდება.** ფულის კეთებით გართულ ხელისუფლებას სულაც არ ანაღვლებს ქვეყნის დღევანდელი ან ხვალინდელი დღე. ერთ დროს მოწინავე საბჭოთა რესპუბლიკა ყველა დანარჩენ ყოფილებს უკან მიჩანჩალებს. გვშურს, როდესაც უმზერ მათ წარმატებებს. განა შესაშური არ არის აზერბაიჯანის ხელისუფალთა ამბიციური გეგმები? მეზობელი სახელმწიფო 2011 წლისთვის გეგმავს კოსმოსში საკომუნიკაციო თანამგზავრის გაშვებას, „აზერსტარი“ 210 მილიონი დოლარი დაჯდება და როგორც ექსპერტები ამბობენ 5-7 წელიწადში დანახარჯი მთლიანად იქნება ამოღებული. კოსმოსის ათვისება ხელს შეუწყობს სამეცნიერო კადრების განვითარებას. ჩვენ? ფულის საშოვნელად ქუჩებს ვხაზავთ და ვავიწროებთ, „პოლიგლოტ“ მინისტრებს ვნიშნავთ, დაბეჯითებით „ვიბრძვით“ დემოკრატიისათვის და ჩვენს ერთგულებას ვუმტკიცებთ ვაშინგტონს. მსგავსი მტკიცების კულმინაციას შეადგენდა ბერლინის კედლის დაშლისადმი მიძღვნილი გამოფენები.

> ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველო ისე არასდროს მდგარა გადაგვარების წინაშე, როგორც დღეს.

პოლიტიკაში ვარაუდით ლაპარაკი ან ისტორიული ფაქტების სავარაუდო შეფასება – ისე რომ ყოფილიყო, ასე არ იქნებოდაო, საჩოთირო საქმეა, მაგრამ არის ისტორიული მომენტები, რომელთა სხვაგვარი გადაწყვეტა სხვაგვარ რეალობას შექმნიდა. ამაზე არ გავამახვილებდი ყურადღებას, რომ არა აგვისტო და გერმანიის გაერთიანების ამბავი. 1990 წელს საბჭოთა ლიდერს, გორბაჩოვს საკუთარი ქვეყნის ინტერესები რომ მტკიცედ დაეცვა დასავლეთ გერმანიის კანცლერ კოლთან მოლაპარაკების დროს, გაერთიანებული გერმანიის სტატუსი სულ სხვა იქნებოდა, მაგრამ სუსტი ნებისყოფის გორბაჩოვი იოლად წავიდა დათმობაზე, რომლის მიხედვით გაერთიანებული გერმანია ნატოს წევრი გახდა. არადა ნატოს გარეთ დარჩენით ეჭვქვეშ დადგებოდა ამ ორგანიზაციის არსებობა, მით უმეტეს მაშინ, როდესაც მისმა ვიზავიმ – ვარშავის პაქტმა არსებობა შეწყვიტა, არც პოლონეთის პრეზიდენტ ლეჰ ვალენსას გაუჩნდებოდა სურვილი 1993 წელს პოლონეთში მყოფი რუსეთის პრეზიდენტ ელცინისთვის ეთხოვა ნატოში შესვლაზე თანხმობა და პოლონეთიდან ჯარის გაყვანა. ამ ისტორიულ ვოლუნტარიზმს პოლონეთში რუსეთის ელჩი კაშლევი ასე იხსენებს: „პოლონეთის პრეზიდენტმა ელცინი, საღამოს, თანმხლები პირების გარეშე, საკუთარ რეზიდენციაში, ვახშამზე მიიწვია. ორთა შეხვედრა გამთენიას დასრულდა. შექეიფებულმა ელცინმა ჟურნალისტის შეკითხვაზე პოლონეთის ნატოში შესვლასთან დაკავშირებით, უპასუხა, რომ არც პოლონეთის და არც ყოფილი სოციალისტური ქვეყნების შესვლა ნატოში მოსკოვის საქმე არ არის. ეს საკითხი მათი გადასაწყვეტიაო. რუსეთის დელეგაციის წევრების, საგარეო და თავდაცვის მინისტრების კოზირევის და გრაჩოვისთვის ელცინის ნათქვამი შოკის მომგვრელი იყო, მაგრამ რა გაეწყობოდა“. ალკოჰოლით გაჯერებულმა ვახშამმა თავისი გააკეთა. და რომ არა ვალენსას რეზიდენცია, რუსეთს აღარ ექნებოდა თავსატეხი ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებით და აღარც საქართველოს შეექმნებოდა პრობლემები, მაგრამ რა გაეწყობა ნათქვამი გაფრენილ ჩიტს ჰგავს. მისი უკან დაბრუნება შეუძლებელია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი**

ინფორმაცია

## ვის ბიუჯეტში შედის „ოდნოკლასნიკების“ ფული?

**პოლიტოლოგი** ირაკლი სესიაშვილი ქართულ კომპანიებს, რომლებიც „ოდნოკლასნიკი.რუ“-ზე რეკლამებს ანთავსებენ, რუსეთის ბიუჯეტის გაზრდის ხელშეწყობაში ადანაშაულებს.

– გულდასაწყვეტია, რომ ხელს ვუწყობთ მტრის ბიუჯეტის ზრდას, მაშინ, როცა ქართული ტელეკომპანიები სერიოზულ ფინანსურ კრიზისს განიცდიან და ფაქტობრივად, რეკლამის გარეშე არიან დარჩენილნი. ეს არის პრინციპის საკითხი – ქართველი ხელს უწყობს რუსეთის ფინანსების ზრდა, – განაცხადა სესიაშვილმა.

მისივე თქმით, პროტესტი აღნიშნულ საიტზე ფასიანი სერვისით სარგებლობასთან დაკავშირებით, როგორც ქართულ კომპანიებს, ისე ქართველ მომხმარებლებსაც უნდა ჰქონდეთ.

ავიაკომპანია „აირზენა“ „ოდნოკლასნიკი.რუ“-ზე სარეკლამო რგოლის განთავსების შედეგებით კმაყოფილია და რუსული საიტიდან რეკლამის მოხსნას არ აპირებს.

როგორც კომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განაცხადა, „ოდნოკლასნიკი.რუ“-ზე განთავსებულ „აირზენას“ რეკლამას დღის განმავლობაში უამრავი ადამიანი ეცნობა.

რაც შეეხება პროტესტს, რომელიც აღნიშნულ საიტზე ქართული კომპანიების მიერ რეკლამების განთავსებას მოჰყვა, გიორგობიანი ამბობს, რომ „თუ პროტესტი არსებობს, ასეთ შემთხვევაში, ამ საიტთან დაკავშირებით იმ ქართველი მომხმარებლების დამოუკიდებულებაც უნდა შეიცვალოს, რომლებიც „ოდნოკლასნიკი.რუ“-თი აქტიურად სარგებლობენ“.

– მე როგორც ვიცი, პროტესტი არა იმ ქართული კომპანიების მიმართ არსებობს, რომლებიც საიტზე რეკლამებს ანთავსებენ, არამედ იმ ქართველების მიმართ, რომლებიც ფასიანი მომსახურებით: ფასიანი „სმაილიკებით“, საჩუქრებით და ა.შ სარგებლობენ. თუმცა, თუ ზოგადად პროტესტი არსებობს, ის მხოლოდ ქართულ კომპანიებს არ უნდა შეეხოთ და ამ თემას კონკრეტული ქართველებიც უფრო სერიოზულად უნდა მიუდგნენ, – განმარტა გიორგობიანმა.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ შეიცან თავი შენი

# მკურნალი სინათლის სხივი



**საყოველთაოდ ცნობილია, რომ უმზეოდ დედამიწაზე სიცოცხლე არ იქნებოდა. ეს ბრწყინვალე ციური სხეული გვაძლევს არსებობისთვის აუცილებელ ენერგიას და თუ ვცოცხლობთ, მას უნდა ვუმადლოდეთ. მაგრამ ზოგჯერ მთლიანად არ ვაფასებთ მის ქველმოქმედებას და მის მიერ გამოგზავნილ მადლს უაზროდ ვფლანგავთ.**

ალბათ მრავალს აქვს სურვილი ზაფხულში ზღვის პირას მზის აბაზანა მიიღოს და „გაშავდეს“. მზე თავის სასიცოცხლო სხივებს უხვად გვიგზავნის, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ მზის ფართო სპექტრის ყველა სხივი ჯანმრთელობისათვის სასარგებლოა. ისევე, როგორც ნებისმიერი წამალი ძალიან დიდი დოზით საწამლავია, მზის გამოსხივება გარკვეული დოზის ზევით უდაოდ საშიშია. ეს პირველყოვლისა მზის უხილავ, ულტრაიისფერ გამოსხივებას ეხება და დიდი სიფრთხილე გვმართებს, რომ მზის სასიცოცხლო სხივებმა ზიანი არ მოგვიტანოს.

მართლაც, თუ გავიხსენებთ, ადამიანის კანი სახეზე და ხელებზე შედარებით ადრე ბერდება, ნაოჭები და ლარები უჩნდება. სავარაუდოა, რომ ეს მზის სხივის ულტრაიისფერი ნაწილის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგია.

მართლაც, დადგენილია, რომ ულტრაიისფერი სხივი მნიშვნელოვნად ზრდის ბიოქიმიური რეაქციების სიჩქარეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ კანში ამ სხივების შთანთქმა ძალიან დიდია, უნდა ველოდოთ, რომ დიდი რაოდენობის ულტრაიისფერი სხივების ზემოქმედებით კანის ქსოვილი ადრე „დაბერდება“. ამაზე მიუთითებს მთებში მცხოვრებთა ადრე „დაბერება“, რაც იმის შედეგია, რომ მთაში მზის სხივი ულტრაიისფერი სხივებით უფრო მდიდარია, ვიდრე ბარში. ამდენად, მზის ულტრაიისფერი გამოსხივებისაგან თავის მორიდება ურიგო არ იქნება. მაგრამ არც ის იქნება სასარგებლო, მზის სხივს რომ თავი სულ ავარიდოთ. პირიქით, მზის ხილული და ინფრაწითელი სხივების გარეშე ჩვენი ჯანმრთელობის მდგომარეობა კატასტროფულად გაუარესდებოდა.

როგორ მოვიქცეთ, რომ მზის სხივმა მხოლოდ სარგებლობა მოგვიტანოს?

ამისთვის მზის აბაზანები დილის ან საღამოს საათებში უნდა მივიღოთ. ამ დროს მზის სხივი ატმოსფეროს სქელ ფენას გადის და მასში ულტრაიისფერი სხივები შედარებით მცირეა.

მეცნიერებმა 1960 წლის ზაფხულში შექმნეს ლაზერი და მას „მზეზე ათასჯერ კაშკაშა“ უწოდეს. მართლაც, ლაზერმა უნიკალური სიმძლავრის სხივი მოგვცა და მთელი გადატრიალება მოახდინა არა მარტო ფიზიკაში, არამედ მეცნიერების მრავალ სხვა დარგშიც და ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. კარგადაა ცნობილი, რომ დაფოკუსებული ლაზერის სხივი მშვენივრად ასრულებს ბასრი და სტერილური სკალპელის როლს. ამ სკალპელის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ქირურგიული ოპერაციის ჩატარების დროს ქსოვილთან მექანიკური შეხება არ ხდება, რაც გამორიცხავს ორგანიზმში მეორეული ინფექციის შეტანას. ლაზერის სხივი არა მარტო ადვილად კვეთს ქსოვილს, არამედ მას შეუძლია „შეადუღოს“ გადაჭრილი სისხლძარღვები და ამრიგად „უსისხლო“ ოპერაციები ჩაატაროს. ლაზერის სხივს შეუძლია ორგანიზმიდან ამოწვას ჩირქოვანი და მკვდარი ქსივილები.

ბოლო დროს მკაფიოდ გამოიკვეთა ლაზერის სხივის წარმატებები თერაპიაში. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდით მკურნალობის ჩატარებისას გამოიყენება დაბალი ინტენსივობის ლაზერები. ჩემთვის გასაოცარი იყო ჰელიუმ-ნეონის სუსტი ლაზერის სხივით გულის ინფარქტის ეფექტური მკურნალობის შედეგები თბილისის თერაპიის ინსტიტუტში. როცა დავრწმუნდი სინათლის სხივის მკურნალობის გასაოცარ შედეგებში, გადავწყვიტე დამესხივებინა ჩემი ჩირქოვანი გლანდები. ერთი კვირის განმავლობაში 20-20 წუთით ყოველდღიური დასხივების შემდეგ გლანდები ამოკვეთას გადავარჩინე. უკვე 15 წელია მე ანგინა აღარ გამკარებია.

კარგადაა ცნობილი ჰელიუმ-ნეონის აირზე მომუშავე ლაზერის უწყვეტი სინათლის სხივის თერაპიული მკურნალობის მრავალი ეფექტი (ჭრილობებისა და წყლულების შეხორცების სტიმულირება, ძვლის მოტეხილობის დროს რეგენერაციის დაჩქარება, არტერიული წნევის რეგულირება და მრავალი სხვა), მაგრამ ამ მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია შესასწავლი და დასადგენი. ბოლო დროს საკმაოდ კარგად იყენებენ ნახევარგამტარულ ლაზერებს სპექტრის ახლო ინფრაწითელ უბანში.

ჰელიუმ-ნეონის ლაზერის სხივის დადებითი ზემოქმედების ეფექტი აშკარაა დამწვრობის შედეგად მიღებული ჭრილობების მკურნალობისას. ლაზერის სხივით დასხივებისას იმუნური სისტემის აქტივიზაციისა და ორგანიზმის რეაქტივობის მომატების შედეგად მნიშვნელოვნად ჩქარდება ჩირქოვანი პერიტონიტის, პანკრეატიტის, ჩირქოვანი ქოლანგიტის, პანკრეონეკროზის და სეფსისის მკურნალობა. ამიტომ, ლაზერის სხივით მკურნალობის განსაკუთრებული წარმატებები მიღწეულია ისეთი დაავადებების მკურნალობის დროს, როგორიცაა ანგინა, ჰაიმორიტი, ორგანიზმში წარმავალი ანთებითი პროცესები და სხვა. სწორედ ამან განაპირობა ძალიან კარგი შედეგები გულის ინფარქტის მკურნალობის დროს. ამასთანავე, ლაზერის სხივით დანათებამ ძალიან კარგი შედეგები მოგვცა კუჭისა და ნაწლავების წყლულებისა და ჭრილობების მკურნალობის დროს.

არსებობს საიმედო კლინიკური მონაცემები სინათლის ზემოქმედებით სისხლძარღვების ათეროსკლეროზული წარმონაქმნებისაგან გასუფთავების მიზნით და ადამიანის ორგანიზმში წარმოქმნილი ქვების დასაშლელად საჭირო ბიოქიმიური რეაქციების გააქტიურებისათვის.

რატომ უნდა ველოდოთ თერაპიული მკურნალობის ეფექტს ლაზერის მოწითალო და ინფრაწითელი სხივებისაგან?

სამედიცინო გამოკვლევებით დადგინდა, რომ დაბალი ინტენსივობის ლაზერული გამოსხივება იწვევს ორგანიზმის ბიოლოგიური სისტემების სტიმულაციას. ცოცხალ ორგანიზმში მრავალი სხვადასხვა ბიოქიმიური რეაქცია მიმდინარეობს. სწორედ ამ რეაქციების აქტიურობის შედეგია ჩვენი ორგანიზმის ბრძოლა სხვადასხვა დაავადებასთან.

როგორც ვიცით, ავადმყოფობის დროს ჩვენი სხეულის ტემპერატურა რამდენიმე გრადუსით იზრდება. სწორედ ტემპერატურის გაზრდა იწვევს ბიოქიმური რეაქციების სიჩქარის მნიშვნელოვან მატებას, რაც სწრაფ გამოჯანმრთელებას უწყობს ხელს. ქიმიური რეაქციების სიჩქარე მკვეთრად იზრდება რეაქციაში მონაწილე იონების რაოდენობის გაზრდით. აღმოჩნდა, რომ სინათლის დანათებით იმდენად მატულობს იონების რაოდენობა, რომ ბიოქიმიური რეაქციის სიჩქარე რამდენიმე მილიარდჯერ იზრდება. ლაზერის სხივით დანათებისას სხეულის ეფექტურმა (ელექტრონულმა) ტემპერატურამ შეიძლება ასეულობით გრადუსს მიაღწიოს. ამ დროს სხეულის ჩვეულებრივი, რეალური ტემპერატურა პრაქტიკულად ნორმალური რჩება.

აღსანიშნავია, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ლაზერის ნაცვლად შეიძლება გამოვიყენოთ სინათლის სხვა წყაროებიც: მაგალითად, წითელი შუქდიოდები ან სპეციალური წითელი ფილტრებით აღჭურვილი ჩვეულებრივი ნათურებიც კი. კლინიკური გამოკვლევებით დადგინდა, რომ ლაზეროთერაპიული მკურნალობის ყველა დადებითი ეფექტი მიიღწევა ჩვეულებრივი ნათურის გამოყენებით. ამრიგად, ლაზერულ თერაპიას შეიძლება ფოტონური თერაპია ან სინათლის თერაპია ეწოდოს და მკურნალობისათვის გამოვიყენოთ ლაზერულ დანადგარებთან შედარებით გაცილებით იაფი და მარტივი ხელსაწყოები.

სინათლის სხივის სისხლის მოლეკულებთან ურთიერთქმედების პროცესში მნიშვნელობა არა აქვს სხივს ლაზერი გვაძლევს თუ ჩვეულებრივი ნათურა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მხოლოდ სინათლის სიხშირეს, ანუ მის ფერს აქვს. გამოირკვა, რომ თერაპიული მკურნალობის მაღალ ეფექტურობას განსაზღვრავს ყვითელი და წითელი ფერები და ინფრაწითელი სხივები. ამიტომ, ნებისმიერი ანთებადი პროცესის წინააღმდეგ სამკურნალოდ შეგვიძლია ეფექტურად გამოვიყენოთ ჩვეულებრივი ნათურის მოყვითალო-მოწითალო ფერის სხივები. ეს სხივები საკმაოდ ღრმად შედიან ადამიანის ორგანიზმში. ასეთი სხივების მიღება ყველას შეუძლია, რადგან საკმარისია ავიღოთ ნახევარლიტრიანი მინის ქილა, მის პლასტმასის სახურავში გავაკეთოთ ხვრელი ისე, რომ შევძლოთ ნათურის დამჭერის ჩამაგრება. საკმარისია ქილაში ნახევრამდე საჭმლის ზეთი ჩავასხათ, გარედან მის გვერდით ზედაპირს ამრეკლი ფირი შემოვაკრათ და მას ნათურიანი სახურავი დავახუროთ, რომ ჩვენი სამკურნალო ხელსაწყო მზად იქნება. ნათურა სანახევროდ ზეთში აღმოჩნდება ჩაძირული. ზეთი ნათურასაც აცივებს და თანაც კარგად ატარებს სინათლის სპექტრის იმ ნაწილს, რომლის მოქმედებაც ძალიან სასარგებლოა როგორც ნებისმიერი ანთებითი პროცესების, ისე წყლულების, დამწვრობებისა და ჭრილობების სამკურნალოდ. ასეთ ნათურას მე გრიპის წინააღმდეგადაც ვიყენებ და კბილის ტკივილის დროსაც. ასეთი მოწყობილობა ათი-თხუთმეტი წუთის შემდეგ ხურდება და ამიტომ დანათების ხანგრძლიობაც დროის ამ მონაკვეთით განისაზღვრება. ის ფაქტი, რომ სინათლის ამ უბანს არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლია, ამ სეანსის დღეში რამდენჯერმე გამეორების შესაძლებლობას გვაძლევს.

რადგან ზეთის მიერ გაფილტრული სხივების ფოტონების ენერგია რამდენჯერმე ნაკლებია ულტრაიისფერი სხივების ფოტონების ენერგიასთან შედარებით და მას არავითარი ზიანის მოტანა არ შეუძლია, სამაგიეროდ, ბიოქიმიური რეაქციების სიჩქარის მრავალმილიონჯერ გაზრდა უთუოდ დააჩქარებს გამოჯანმრთელების პროცესს და ჩვენც გაცილებით ნაკლები ძვირადღირებული წამლების მიღება დაგვჭირდება. ამ სხივების მაღალი ეფექტურობა რამდენიმე სამედიცინო დაწესებულებაში ჩატარებულმა კლინიკურმა გამოკვლევებმაც დაადასტურეს. ერთი ზოგადი წესი უნდა გვახსოვდეს: იმ ავადმყოფობათა მკურნალობის დროს, რომელთათვისაც რეკომენდირებულია სითბო, უმჯობესია გამოვიყენოთ სინათლის სხივი. სხეულზე სინათლისა და სითბოს მოქმედების მექანიზმი ერთი და იგივეა, მაგრამ სინათლე სამკურნალო პროცესს გაცილებით ეფექტურს ხდის.

განსაკუთრებით ეფექტური აღმოჩნდა სინათლის გამოყენება ჭრილობის შეხორცების დასაჩქარებლად. ჭრილობას, როგორც ცნობილია, იოდის ხსნარით ამუშავებენ და შემდეგ საფენს ადებენ. გაცილებით ეფექტურია, თუ ჭრილობას დავადებთ გამჭვირვალე წებოვან ფირს და ჩვეულებრივ სინათლის სხივს დავანათებთ.

გავიხსენოთ, თუ რა პოპულარული იყო მდოგვის საფენები ან თბილი კომპრესები. დღეს, როცა ჯანმრთელობის სისტემაში ჩატარებული რეფორმა ავადმყოფობას პრაქტიკულად გვიკრძალავს, ჩვენ თავს ჩვენვე უნდა მივხედოთ. ანალოგიურ სინათლის წყაროს ალბათ თქვენც მრავალს მოიფიქრებთ. ძალიან ეფექტურია ჰალოგენის ნათურის ბაზაზე დამზადებული მცირე ზომის გამანათებლები, მხოლოდ ამ ნათურების გამოყენების შემთხვევაში უმჯობესია, თუ ნათერას 2-ჯერ მცირე ძაბვას მოვდებთ მის ნომინალურ ძაბვასთან შედარებით.

**მერაბ ჯიბლაძე,**

**თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქვანტური ელექტრონიკის“ სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

◎ ინფორმაცია

## კაჩინსკი „წინაპრების“ შეცდომებს ინანიებს

**პოლონეთის** პრეზიდენტმა ლეხ კაჩინსკიმ მეორე მსოფლიო ომის დაწყების 70 წლისთავისადმი მიძღვნილ გამოსვლაში პოლონეთის მონაწილეობა 1938 წელს მომხდარ ჩეხოსლოვაკიის დანაწევრებაში შეცდომად შეაფასა.

„ეს ჩვენი ცოდვაა. ეს ძნელად გვეპატიება, მაგრამ ეს ფაქტია“, – განაცხადა პრეზიდენტმა. მისი თქმით, ადოლფ ჰიტლერთან შეთანხმების მცდელობამ ასწავლა ევროპელებს ის, რომ ტოტალიტარულ რეჟიმებთან კომპრომისზე წასვლა დაუშვებელია.

კაჩინსკის აზრით, მთავარი გაკვეთილი, რომელიც ევროპამ უნდა გაითავისოს, „იმპერიულ ამბიციებზე უარის თქმაა“. პოლონეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეს ევროკავშირის ფასეულობებს არ შეესაბამება.

## ჯერ მერხები იყიდეთ და სწავლა მერე დაიწყეთ

**ლეიბორისტული** პარტიის ერთ-ერთი ლიდერი პაატა ჯიბლაძე აცხადებს, რომ ოჯახებს ბავშვების სკოლაში მიყვანის შესაძლებლობა არ გააჩნიათ და სასკოლო ინვენტარის შესაძენად პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან თანხები უნდა გამოიყოს.

როგორც წიგნების მაღაზია „სამშობლოსთან“ გამართულ საპროტესტო აქციაზე პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, წინააღმდეგ შემთხვევაში ათასობით ბავშვს სკოლაში მისვლა სასკოლო ინვენტარის გარეშე მოუწევს. საქართველოში ოფიციალურად სიღარიბის ზღვარს მიღმა მილიონამდე ადამიანი ცხოვრობს, ოჯახებს ძალიან უჭირთ სასკოლო ინვენტარისა და წიგნების შეძენა, რაც 100-დან 115 ლარამდე ჯდება. „ლეიბორისტული პარტია“ სამართლიანად მიიჩნევს და მოითხოვს, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან, რომელიც 50 მლნ ლარს შეადგენს, გამოიყოს შესაბამისი თანხა, რათა გაჭირვებული ოჯახების ბავშვების სკოლაში მიყვანის საშუალება მიეცეთ, – აცხადებს პაატა ჯიბლაძე.

## პარლამენტს „სუბტიტრების“ გარდა პრობლემები არ ჰქონია

**კულტურის** მინისტრის ნიკა რურუას განმარტებით, პარლამენტიდან კანონპროექტის გაწვევა, რომელიც ფილმების სუბტიტრებით ჩვენებას ითვალისწინებს, მხოლოდ ტექნიკური უზუსტობის გამო მოხდა.

– კინოებში ფილმების სუბტიტრებით გაშვების რეგულირება პარლამენტში წარდგენილ კანონპროექტში დავალებული ჰქონდა კომუნიკაციების ეროვნულ მარეგულირებელ კომისიას, რაც მისი კომპეტენცია არ არის. აქედან გამომდინარე, კანონპროექტი რეალურად არავის გაუწვევია, მასში მხოლოდ ტექნიკური შესწორება შევა, – განაცხადა რურუამ სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებს.

მისი შეფასებით, იდეა რჩება და ის ძალიან საჭირო და დროული ინიციატივაა. ამასთან რურუას განმარტებით, კინოსახლებში ფილმების ორიგინალში გაშვება სავარაუდოდ 6 თვეში დაიწყება.

## შემოსავლების სამსახურს ახალი უფროსი ჰყავს

**ფინანსთა** სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ახალ ხელმძღვანელად გიორგი ცხაკაია დაინიშნა.

ცხაკაია დღემდე ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელია. ის წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვის და ეკონომიკის სამინისტროებში წამყვან თანამდებობებზე მუშაობდა.

შეგახსენებთ, რო,მ შემოსავლების სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობა ვაკანტური ორი დღეა რაც გახდა. გრიგოლ გობეჯიშვილი, რომელიც ამ პოსტზე საკმაოდ დიდი ხანი მუშაობდა, მუშაობას ეკონომიკის სამინისტროში, მინისტრის მოადგილის თანამდებობაზე განაგრძობს.

„ექსპრესნიუსი“ და ჯი-ეიჩ-ენი

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ერთპიროვნული გავლენის სფეროები

**წელიწადმა, რომელიც გავიდა საქართველოს სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის დღიდან, სამწუხაროდ, ვერ შეიტანა არსებითი კორექტივები ქართული აგრესიის გაჩაღების ნამდვილი მიზეზების გაგებაში ევროპელების მიერ. ევროპელთა უმრავლესობას – როგორც ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ისე პოლიტიკოსებს – არ შეუძლიათ გონივრულად შეხედონ მომხდარს.**

ევროკავშირის 2008 წლის აგვისტოში კავკასიაში კონფლიქტის მიზეზების დადგენის დამოუკიდებელი კომისია, რომლის მიზანიც იყო გამოეკვლია მიზეზები და ვითარებანი, რამაც მიგვიყვანა საქართველო-სამხრეთ ოსეთის კონფლიქტამდე, არაერთსულოვნად და უსიტყვოდ, მაგრამ მაინც მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თავდასხმა მოაწყო საქართველომ. რუსეთის მხრიდან არ ყოფილა არავითარი პროვოკაცია. რუსეთმა უპასუხა მის სამშვიდობო ძალებზე და სამხრეთ ოსეთში თავის მოქალაქეებზე თავდასხმასთან დაკავშირებით.

ფაქტები ცხადია. მაგრამ ევროპელ ელიტებს არაფრით სურთ აღიარონ თავიანთი არასიმართლე. არ შეიძლება ითქვას, რომ აბსოლუტური უმრავლესობაო, მაგრამ მაინც ევროპელი პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობა ქვეცნობიერად მხარს უჭერს საქართველოს მთავრობასაც და უკრაინის ხელმძღვანელობასაც, რომლებიც სამხრეთ ოსეთზე შეტაკების დროს მოქმედებდნენ ერთობლივად, რის შესახებაც ამას წინათ განაცხადა პრეზიდენტმა მედვედევმა.



უკვე ზუსტად არის ცნობილი, რომ ქართული მხარე რუს სამშვიდობოებსა და სამხრეთ ოსეთის მშვიდობიან მოქალაქეებზე თავდასხმის დროს იყენებდა იარაღს, რომელსაც მას უკრაინა აწვდიდა. რასაკვირველია, იარაღს აწვდიდა არა მხოლოდ ეს ქვეყანა. მაგრამ არც იმ ფაქტის უგულებელყოფა შეიძლება, რომ უკრაინის მიერ მიწოდებული იარაღით დაიღუპნენ ცხინვალის მცხოვრებლები და რუსი სამხედრო მოსამსახურეები.

ჯერჯერობით არ არის ნათელი ამერიკის შეერთებული შტატების პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა და მისი ადმინისტრაცია ჯერჯერობით ვერ გარკვეულან, თუ რა მოხდა. ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის ჯო ბაიდენის ჩასვლა კიევსა და თბილისში ნიშნავდა, რომ ვაშინგტონი ვერ ელევა ძველ იდეებს, თუმცა საყოველთაოდ მიდის საუბარი ურთიერთობათა განტვირთვის შესახებ.

ერთ-ერთი ამერიკული პოლიტიკური იდეა, რომელსაც წარსულიდან ეჭაჩებიან, ჩამოაყალიბა ბაიდენმა: ამერიკის შეერთებული შტატები არ აღიარებს უცხოური გავლენის სფეროებს. კეთილი, დავუშვათ, გავლენის სფეროები არ უნდა იყოს. თითოეული სახელმწიფოს სუვერენიტეტი ხელშეუხებელი უნდა იყოს. მაგრამ მაშინ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა განმარტოს, თუ რატომ ისწრაფვის იგი, გააფართოოს ყოველმხრივ თავისი გავლენის სფეროები. გამოდის, რომ ვაშინგტონიდან 10 ათასი კილომეტრის იქით არის ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფერო, სადაც შედის საქართველო, რომელიც, ფაქტობრივად, ამჟამად არსებობს ამერიკელთა დახმარების ხარჯზე. ცხადია, რომ უკრაინის პრეზიდენტი ვიქტორ იუშჩენკო ვაშინგტონის კაცია. ესე იგი, უკრაინაც შედის ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის სფეროში. სხვა განმარტებანი ამ ფაქტებს არ გააჩნიათ. ესე იგი, თავისი გავლენის სფეროებს ამერიკა აფართოებს, მაგრამ ამ დროს არ მიაჩნია მიზანშეწონილად, რომ ასეთი სფეროები ჰქონდეთ სხვა ქვეყნებსაც.

ვაშინგტონის ასეთი პოზიცია, უბრალოდ, უზნეობაა. ერთი მხრივ, პრეზიდენტი ობამა ამბობს, რომ მას სურს გარდაქმნას რუსეთთან ურთიერთობა. მაგრამ ამის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ბაიდენი ჩადის კიევსა და თბილისში და საუბრობს ისეთ რამეებზე, რომლებიც ეწინააღმდეგებიან თავისი პრეზიდენტის გაცხადებულ პოზიციას. უფრო მეტიც, ის, რაც, უბრალოდ, არ შეიძლება მიღებული იქნეს მოსკოვის მიერ მისი დიდი სურვილის დროსაც კი, რატომღაც ეწინააღმდეგება ლოგიკასა და ეროვნულ ინტერესებს.

ამიტომ მეშინია, რომ უახლოეს პერიოდში ურთიერთობა ევროპასა და რუსეთს შორის და რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის არ გაუმჯობესდება. განტვირთვა შეიძლება განხორციელდეს საერთაშორისო პოლიტიკის სხვა სფეროებში. მაგალითად, ბირთვული შეიარაღების შემცირების საქმეში – შეიარაღების დარგში მოლაპარაკებათა ტრადიციულ სფეროში. აქ უკვე არის ზოგიერთი პროგრესი. მაგრამ გავლენის სფეროების გაყოფის დარგში რუსეთს, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს დიდი დაპირისპირებანი აქვთ, რომლებიც ჩემთვის სავსებით ცხადი მიზეზის გამო, მოდის არა მოსკოვიდან, არამედ ამერიკიდან და ევროპიდან. უწინარეს ყოვლისა მათგან, ვისაც არ შეუძლია დაშორდეს ცივი ომის იდეებს და თუ არცთუ ლოიალური, მაგრამ უბრალოდ მტრული ძალების მიერ რუსეთის ალყაში მოქცევის გეგმებს. სხვაგვარად როგორ შეიძლება აიხსნას ნატოს საზღვრების შემდგომი გაფართოებისკენ სწრაფვა!

საქართველოს სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის შემდეგ ევროპაში აშკარად ცხადად დაეცა განწყობილება – მიიღონ საქართველო ნატოში. მადლობა ღმერთს, რომ ყველა პოლიტიკური ლიდერი არ არის უგონო და არიან ისეთები, ვისაც ესმის: სააკაშვილი არ არის სერიოზული პოლიტიკოსი, იგი უპასუხისმგებლო ავანტიურისტია. მაგრამ ეს ჯერჯერობით გაიგო მხოლოდ ევროპის პოლიტიკური ელიტის ნაწილმა.

გადაწყვეტილება საქართველოსა და უკრაინის ნატოსთან შეერთების შესახებ გადაიდო გაურკვეველი ვადით. მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ იდეა საბოლოოდ უარყოფილია. კრიზისს საქართველოს გარშემო იყენებენ დღემდე, რათა შეინარჩუნონ უკრაინისა და საქართველოს ნატოს შემადგენლობაში ჩართვის ცოცხალი იდეა. ადრე თუ გვიან, მაგრამ მაინც შეუერთონ მას. ასე რომ, ეს პროვოკაციული იდეა აგრძელებს სიცოცხლეს და გააგრძელებს მთელი ევროპული და მსოფლიო სიტუაციის მოწამვლას.

**ჯულიეტო კიეზა,**
პუბლიცისტი

ЛИТЕРАТУРНАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე



**ობამამ რეკომენდაცია მისცა ყველა თანამემამულეს, გაიკეთონ ღორის გრიპის საწინააღმდეგო აცრა**

გამოქვეყნდა ასეთი პროგნოზი: ქვეყნის მთელი მოსახლეობის ნახევრამდე – ესე იგი დაახლოებით 150 მილიონი კაცი – შეიძლება იყოს ინფიცირებული მომავალ ზამთარს. საავადმყოფოებში შეიძლება მოხვდეს 1,8 მილიონამდე ამერიკელი, დაიღუპოს – 90 ათასამდე კაცი. შედარებისთვის: ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვეულებრივი სეზონური გრიპის დროს იღუპება დაახლოებით 36 ათასი კაცი.

**მეხანძრეებს თანდათან თავიანთი კონტროლის ქვეშ აჰყავთ ტყის ხანძრები ლოს-ანჯელესთან**



შტატის სამხრეთში უმნიშვნელო აცივებამ და ტენიანობის გაზრდამ საშუალება მისცა მეხანძრეებს მიეღწიათ გარკვეული პროგრესისთვის ტყის ხანძრების ჩაქრობაში, რომლებიც ემუქრებიან ლოს-ანჯელესს. უკვე შეძლეს საკონტროლო ზოლის გაზრდა 5-დან 22 პროცენტამდე. მაგრამ ცეცხლის გაღწევის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არის.

**64 წლის წინათ დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი: მის წინ იაპონელები სთხოვდნენ სსრ კავშირს, წაეღო კურილიის კუნძულები**

ომის დამთავრებამდე ერთი წლით ადრე იაპონიის საგარეო საქმეთა სამინისტრო ცდილობდა მიეღწია სსრ კავშირისგან ნეიტრალიტეტი, რისთვისაც მას სთავაზობდა კურილიის კუნძულებსა და სამხრეთ სახალინს. მოსკოვი არ დაეთანხმა და მიიერთა ისინი ომის შედეგების მიხედვით. დავა სამხრეთ კურილიასთან დაკავშირებით დღემდე უშლის იაპონიასთან ზავის დადებას.

**იაპონელმა ბიოლოგებმა აღმოაჩინეს ცილა, რომელიც იწვევს ნივთიერებათა ცვლის დარღვევას და მივყავართ შაქრის დიაბეტით დაავადებამდე**

ავადმყოფებს, რომლებსაც აწუხებთ სიმსუქნე, შაქრის დიაბეტი ან ათეროსკლეროზი, სისხლში აღენიშნებათ ცილა „ანგპტ-2"-ის მაღალი კონცენტრაცია. თაგვებზე ცდებმა აჩვენეს, რომ უამცილოდ ისინი არ სუქდებიან, მაშინაც კი, თუ უხვად კვებავენ ცხიმიანი საკვებით. და შაქრის დონეც სისხლში აღმოჩნდა უფრო დაბალი, ვიდრე ჩვეულებრივ თაგვებს აქვთ.

**ქარიშხალმა „ჯიმენამ" შეუტია მექსიკის კალიფორნიის სანაპიროს**



მეტეოროლგების მონაცემებით, ქარიშხალი თანდათან კარგავს ძალას. მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებს სთავაზობენ მიიღონ ყველა ზომები სტიქიისგან თავის დასაცავად.

**ტროპიკული გრიგალი „ერიკა" შეიქმნა ატლანტის ოკეანეში**

მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ერიკა თანდათან გაძლიერდება და გაზრდის სიჩქარეს. მას შეუძლია უკვე მიმდინარე კვირის ბოლოს მიაღწიოს ბაგამის კუნძულების ტერიტორიას, მომავალში კი შეიძლება წარმოადგენდეს საფრთხეს ამერიკის ფლორიდის შტატის სამხრეთ ნაწილის მცხოვრებთათვის.

**პირველი მოშინაურებული ძაღლები გაჩნდა 16 ათასი წლის წინათ ჩინეთში, დაადგინეს მეცნიერებმა**



ძაღლებს, რომლებიც არიან მდინარე იანძის სამხრეთით, აქვთ დნმ-ს ყველაზე დიდი სხვადასხვაობა, რაც მიუთითებს შემთხვევითი მუტაციების დიდ ოდენობაზე, რაც არ გააჩნიათ ევროპულ და აფრიკულ ცხოველებს. სწორედ აქ მოხდა მგლების მოშინაურება.

**დაზვერვის ცენტრალური სამმართველო უარს ამბობს, გახსნას ტერორისტების „მკაცრი დაკითხვის" დეტალები. მიზეზად სახელმწიფოს საიდუმლოს ასახელებენ**




დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს ასეთმა დემარშმა ამერიკული ორგანიზაციების დიდი აღშფოთება, აგრეთვე მთელი რიგი ექსპერტების მკაცრი კრიტიკა გამოიწვია. მოქალაქეთა თავისუფლების დაცვის ამერიკის კავშირის აზრით, „ეს ეწინააღმდეგება ქვეყნის დღევანდელი პრეზიდენტის პოლიტიკას".

◎ სამყაროს ალიან-ჩალიანი

# ბილ გეიტსი პლანეტის კლიმატის შეცვლას აპირებს

**მილიარდერებს შეუძლიათ, მისცენ თავიანთ თავს რაც უნდათ, იმის ნება. განსაკუთრებით თუ ეს რაღაცა მათ მიაჩნიათ საზოგადოებისთვის მეტად სასარგებლოდ. მაგალითად, ბილ გეიტსის კოლეგა, კორპორაცია „მაიკროსოფტის" თანადამფუძნებელი თავის მილიარდობით დოლარს აბანდებს გიგანტური რადიოტელესკოპის მშენებლობაში SETI-ის დედამიწის გარე ცივილიზაციის მოსაძებნად. თავად ბილმა კი, რომელიც უკვე ზრუნავს მოხუცებულობისა და შიდსის წამლების მოძიებისთვის, ამას წინათ დაიწყო ბრძოლა გრიგალებთან და შეიტანა წვლილი, არა მხოლოდ ფულადი. მილიარდერი ითვლება თავად სტიქიის მოთოკვის მასშტაბური პროექტის ერთ-ერთ ავტორად.**

## აქ იბადებიან ტაიფუნები

**თითქოს ცნობილია გრიგალების წარმოქმნის მექანიზმი. გარკვეულ სეზონებში ოკეანეში წყლის ტემპერატურა უფრო მაღალი ხდება, ვიდრე ჰაერისაა.** და ატმოსფეროს ტენით გაჟღენთილი ქვედა ფენები თბილი წყლის წყალობით კარგად თბება. ფიზიკის კანონების თანახმად, ჰაერი და წყლის ორთქლი ადის მაღლა. იქ, სადაც უფრო ცივა. გარკვეულ სიმაღლეზე ხდება ორთქლის კონდენსაცია და კვლავ უბრუნდება წყალს. ამ დროს თავისუფლდება სითბოს ენერგია, რომელიც ისევ ათბობს ჰაერს და ის ადის უფრო მაღლა, იპყრობს სულ უფრო და უფრო მეტ სივრცეს. იხვევა უზარმაზარ ძაბრებად.

გრიგალები შეიძლება წარმოიქმნას მხოლოდ წყლის სივრცის თავზე, ვინაიდან მათ კვებავს წყლის ორთქლი. ხოლო როდესაც მიწაზე მოხვდებიან, მალე ქრებიან. თანაც გრიგალები, როგორც წესი, წარმოიქმნებიან ეკვატორის მახლობლად. და მხოლოდ თუ წყლის ტემპერატურა ოკეანეში 27 გრადუსზე მეტია ცელსიუსით. ბილ გეიტსმაც შესთავაზა შეამცირონ წყლის ტემპერატურა ეკვატორთან, გრიგალები რომ აღარ წარმოიქმნან.

## „დიდი საწოვრები" გაცურდებიან ეკვატორისკენ

„Big Hurricane suck" – **ასეთი სახელი უწოდა გეიტსმა პროექტსაც და მის მიერ დაარსებულ ფონდსაც.** ინგლისური სიტყვების თამაშის წყალობით ის შეიძლება ითარგმნოს ორნაირად: როგორც „გრიგალის დიდი გაწბილებაც" და როგორც „დიდი საწოვარიც გრიგალისთვის". მეორე, ალბათ, უფრო სწორია. მილიარდერის მთავარი იარაღი ხომ – ტუმბოებია. ტროპიკული ციკლონების წარმოქმნის ადგილებში იგი გვთავაზობს განვალაგოთ მრავალი მცურავი პლატფორმა, რომლებიც ზღვის სიღრმიდან ამოიწოვენ ცივ წყალს და დაასხამენ მას ცივს. შესაბამისად, ოკეანის ზედა ფენები გაცივდება, აორთქლება ნაკლები იქნება და გრიგალების წარმოქმნის პირობები გაქრება. გაანგარიშებით გამოდის, რომ წყლის გაცივება საჭიროა მხოლოდ 4,5 გრადუსით. და – გაქრა გრიგალიც.

საკმარისი დაფინანსებისა და სხვა ქვეყნების თანხმობის შემთხვევაში ბარჟები ტუმბოებით შეიძლება განთავსდეს მთელს ეკვატორზე. მაგრამ დასაწყისისთვის გეიტსს უნდოდა მოეწყო ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვა და „დიდი საწოვრები" განეთავსებინა მექსიკის ყურეში. და თუ ტაიფუნს მთლიანად არ მოახრჩობდა, მისთვის ამერიკის სანაპიროზე მისვლის საშუალება მაინც არ მიეცა. მაგრამ ეს შედარებით თავდაჭერილი გეგმებიც კი იწვევს მეზობლების შიშს. უკვე ღელავენ კუბასა და ვენესუელაში, საითაც შეიძლება წავიდნენ განდევნილი გრიგალები.

## მტერს ჩვენ წვიმით წავლეკავთ

**ეშინია ბევრ მეცნიერსაც – ლოკალურ კლიმატურ პროცესებშიც კი აქტიური ჩარევის შედეგები გაან-**



**გარიშებულია სუსტად.** თუკი შეიძლება საერთოდ მისი გათვლა მისაღები სიზუსტით. მაინც თავად პროექტი ითვლება რეალურად. მას უკვე დაუჭირა მხარი ბარაკ ობამას მრჩეველმა მეცნიერების დარგში, ფიზიკის დოქტორმა ჯონ ჰოლდრენმა. მაგრამ არის ეჭვი, რომ გეიტსის კეთილი განზრახვა მაინც საფარია. სინამდვილეში კი საკითხი შეეხება კლიმატური იარაღის დამუშავებას, რომლითაც დაინტერესებული არიან ამერიკელი სამხედროები. მათ გაუჩნდათ შანსი – გამოსცადონ იგი ლეგალურად.

ჩვენ უკვე ვსაუბრობდით პენტაგონის წიაღში შექმნილ მოხსენებაზე „ამინდი, როგორც ძალის გამაძლიერებელი: კლიმატის მართვა 2025 წლისათვის". იქ წარმოდგენილია ჰიპოტეტური სიტუაცია, რომელშიც აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებმა უნდა გაანადგურონ კოკის პლანტაციები სადღაც სამხრეთ ამერიკაში. მაგრამ ნარკომოვაჭრეებს აქვთ რაკეტების ფრენისთვის თვალყურის დევნისა და გადატაცების სისტემები. რა უნდა ქნან? დასახმარებლად უხმობენ კლიმატს. დღე-ღამის გარკვეულ დროს სამხრეთ ამერიკაში ეკვატორის მახლობლად ყოველთვის დიდია ჭექა-ქუხილიანი წვიმების ალბათობა. საჭიროა მხოლოდ თვითმფრინავიდან დაამუშაო ღრუბლები სპეციალური რეაგენტებით – ღრუბლების გაფანტვა და წვიმის გამოწვევა მეცნიერებმა უკვე დიდი ხანია იციან – და ნარკოკარტელის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ამოვარდება უძლიერესი ქარიშხალი ჭექა-ქუხილით. თვალყურის დევნების მიწისზედა სადგურები იქნებიან დეზორიენტირებული, ნებისმიერი ამინდის ამერიკული გამანადგურებლები კი შეასრულებენ თავის საქმეს.

არის ცნობები, რომ დიდ წვიმებს ამერიკელები იწვევდნენ ვიეტნამში ომის დროს, რათა აეძულებინათ პარტიზანები გამოსულიყვნენ ჯუნგლებიდან.

მიაჩნიათ, რომ სწორედ ამის შემდეგ გაეროში დაამუშავეს „კონვენცია ბუნებაზე ზემოქმედების სამხედრო ან ნებისმიერი სხვა საშუალების მტრული გამოყენების აკრძალვის შესახებ" ქვეყნებმა, რომლებმაც მას ხელი მოაწერეს, იკისრეს ვალდებულება „არ მიაყენონ ზიანი კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოს დედამიწის ბუნებრივი პროცესების, მათ შორის ჰიდროსფეროსა და ატმოსფეროს, წინასწარგანზრახული მართვის გზით".

სსრ კავშირმაც, შემდეგ რუსეთმაც, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც კონვენციას ხელი მოაწერეს. მაშასადამე, კლიმატზე ზემოქმედება არ შეიძლება? შეიძლება. თავის დასაძვრენი მაინც არის. კონვენცია ხომ არ უპირისპირდება „ბუნებაზე მშვიდობიანი მიზნით ზემოქმედების საშუალების გამოყენებას". სწორედ ამას გვთავაზობს ბილ გეიტსი. იქ კი რა გამოვა: გრიგალს ხომ ვერ უბრძანებ.

## *მეტეოროლოგების აზრი*

*ეს პროექტი გააფუჭებს ამინდს რუსეთში?*

*რა, ჩვენთან არ შლიან ღრუბლებს გამარჯვების დღისთვის?! ყველაფერი მარტივადაა: მიფრინავენ თვითმფრინავები, ასხურებენ ღრუბლებს თხევად აზოტს, ზოგჯერ კი ბანალურ ცემენტსაც აყრიან. მაგრამ ყოველთვის, ღრუბლების გაფანტვის დროს დედაქალაქის თავზე – იტანჯება მოსკოვის გარეუბანი – მთელი წყალი იქ იღვრება. ბუნებაში დაუსჯელად ჩარევა ადამიანებმა ვერ ისწავლეს. აქ კი უკვე სხვა მასშტაბია: გრიგალი უზარმაზარ კონტინენტზე.*

*– ატმოსფერო – მეტად რთული სისტემაა და თუ თოკს ქაჩავ, არასოდეს იცი, სად და როგორ გიპასუხებს იგი, – განმარტავს მოსკოვის მეტეობიუროს მთავარი სპეციალისტი ტატიანა პოზდნიაკოვა. – თუ წყალს ოკეანის ერთ ნაწილში გააცივებთ, მეზობლად შეიძლება უძლიერესი გრიგალი დატრიალდეს – იმის გამო, რომ ტემპერატურათა კონტრასტი დიდი იქნება. მოსკოვში, მაგალითად, დიდი წვიმები და ჭექა-ქუხილი ხდება სწორედ ტემპერატურის კონტრასტების გამო – სამხრეთის ციკლონი ხმელთაშუა ზღვის ცხელი ჰაერით ეჯახება ჩვენსას, ცივს.*

*სხვათა შორის, ბუნებას, მართლაც, ჰყავს გლობალური მასშტაბის „სანტექნიკოსი": მოვლენა ელ-ნინიო-ლა-ნინიო. მისი აზრი ისაა, რომ წყნარი ოკეანის ეკვატორულ ზონაში სამხრეთ ამერიკის სანაპიროებთან წყალი დრო და დრო ხდება ხან თბილი, ხან ცივი. ელ-ნინიო გავლენას ახდენს ამინდზე ლამის მთელ დედამიწაზე! თუ როგორ? – ეს მეცნიერებისთვის გაურკვეველია. მაგრამ სწორედ შორეულ „ბიჭსა" და „გოგონას" (ესპანურად ასე ითარგმნება ფენომენის სახელწოდება) აბრალებს ზოგიერთი კლიმატოლოგი საშინელ ყინვებს რუსეთში. 2006 წლის იანვარში და 2008-09 წლის მოსკოვის უთოვლო ზამთარს. არსებითად ბილ გეიტსს განზრახული აქვს შექმნას ელ-ნინიოს ხელოვნური ანალოგი. მაგრამ არ არის არანაირი გარანტია, რომ მან არ გაგვიფუჭოს ამინდი ჩვენ – ოკეანე და ატმოსფერო ერთმანეთთან დაკავშირებულია უფრო რთულად, ვიდრე ცივი და ცხელი წყლის მილები საამბაზანოში.*

**უცხოური მასალების მიხედვით**

## მრავალცოლიანი თაღლითი



**ინდოეთის ქალაქ მუმბაის პოლიციამ თაღლითობისა და მრავალცოლიანობის ბრალდებით დააკავა ავიაკომპანია Air India-ს ინჟინერი, ვინმე ტუშარ ვაგხმარი. თაღლითს ერთდროულად ექვსი ცოლი ჰყავდა, რის შესახებაც მის მეუღლეებს წარმოდგენაც არ ჰქონდათ. იგი მრავალდღიანი „მივლინებების წყალობით" რამდენიმე დღით სტუმრობდა თითოეულ მათგანს. ამ „კუკუდამალობანას" მისმა მეექვსმე ცოლის ეჭვებმა ახადა ფარდა. მას ყოველთვის უკვირდა თუ რატომ დადიოდა მისი მეუღლე ასე ხშირად „საქმიან მივლინებებში" და ერთხელაც ჩაუსაფრდა.**

**აღსანიშნავია რომ ტუშარის ყველა მეუღლე განათლებული და საქმიანი ქალბატონია. მათ, თავიანთი სოლიდური ხელფასის წყალობით შეუძლიათ დამოუკიდებლად თავის რჩენა. თაღლითი მომხიბვლელ ქალბატონებს არ უმალავდა, რომ ადრე დაქორწინებული იყო და ყალბი განქორწინების მოწმობებით უხვევდა თვალებს.**

**მუმბაის პოლიციაში აცხადებენ, რომ თაღლითმა ინჟინერმა ბოლო სამ წელიწადში 14-ჯერ იქორწინა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ექვსი ოფიციალური ცოლის ყოლას უმტკიცებენ.**

## ბრიტანეთში ციხე სჯობს საავადმყოფოს

**ბრიტანეთის ქალაქ ბორნმუტის უნივერსიტეტის ექსპერტები ამტკიცებენ, რომ ამ ქვეყნის ციხეებში უფრო კალორიული და მაღალხარისხიანი საკვები აქვთ, ვიდრე საავადმყოფოებში. უფრო მეტიც, ექსპერტი პროფესორი ჯონ ედვარდსი აცხადებს, რომ საპყრობილის საკვები ხშირად ინგლისელ დიასახლისთა მომზადებულ საჭმელსაც სჯობს.**

**ციხის საკვების რაციონი ყოველთვის მაღალკალორიულია, დიდი ყურადღება ექცევა ნახშირწყლების პროცენტს, სრულიად გამორიცხულია მარილი, რომელიც ორგანიზმისთვის არასასურველია და რაც მთავარია, აქ აკრძალულია შემწვარ-მოხრაკული – ყველაფერი მოხარშული უნდა იყოს.**



**როგორც პროფესორი განმარტავს, ადამიანისათვის საკვები უფრო მარგებელია, როდესაც იგი მაგიდასთან საუზმობს, რაც საავადმყოფოებში პაციენტთა უმრავლესობისათვის შეუძლებელი ხდება.**

**საავადმყოფოებში პაციენტებს ერთი და იმავე დროს ურიგებენ საჭმელს, აქედან გამომდინარე, ბევრი მშიერი რჩება, რადგან ისინი ამ დროისათვის სხვადასხვა პროცედურებს გადიან. ბევრს არ შეუძლია საკუთარი ხელით ჭამა, მედპერსონალი კი მათ გამოკვებაზე თავს არ იკლავს.**

**ასე რომ, საპყრობილეში უფრო კარგად იკვებებიან.**

## ავსტრალიელებს წელიწადის ოთხი დრო ეცოტავებათ

**ავსტრალიელებს თავიანთი კონსტინენტის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, სულ ცოტა წელიწადის ხუთი ან ექვსი დრო სჭირდებათ – ასე მიაჩნია ავსტრალიელ მეცნიერს ტიმ ენტვისლს.**

**ენტვისლი, რომელიც ამჟამად სიდნეის სამეფო ბოტანიკური ბაღის დირექტორია, აცხადებს რომ დროა შევცვალოთ ბრიტანეთიდან შემოტანილი, საყოველთაოდ მიღებული წელიწადის დრონი და შევქმნათ ახალი, ჩვენი კონტინენტის კლიმატის შესაფერისი. ეს საშუალებას მისცემს ავსტრალიელებს უფრო გონივრულად გამოიყენონ ბუნებისაგან ბოძებული ყველა სიკეთე. მისი აზრით საჭიროა ტრადიციულ წელიწადის დროებს დაემატოს ორი ახალი სეზონი – Sprummer (გაზაფხული-ზაფხული) და Sprinter (შემოდგომა-ზამთარი).**



**ავსტრალიელი აბორიგენები კონტინენტის ზოგიერთ ტერიტორიაზე წელიწადის დროებს რვა სეზონადაც კი ჰყოფენ გამომდინარე ადგილობრივი კლიმატური პირობებიდან.**

**ენტვისლმა თავის მოსაზრება საერთაშორისო კონკურსზეც წარადგინა, რათა დამატებული სეზონებისთვის შესაბამისი ლაკონური სახელები შეირჩეს.**

ვაი მესვეურთაგან!

# ამის ღირსია ეროვნული ნაკრები?

**გუშინ კალათბურთის ფედერაციაში მომიწია მისვლა. იქ ამბავი შევიტყვე, ნეტავ სულ არ მიმედგა ფეხი.**

**მოგეხსენებათ, ხვალ საქართველოს ეროვნული ნაკრები მინსკში მიემგზავრება, სადაც შაბათს თბილისის დროით 19 საათსა და 30 წუთზე ევროპის ჩემპიონატის „ა“ დივიზიონში ალსაზევებელი პლეიოფის პირველ მატჩს გამართავს ბელარუსის გუნდთან.**



ბუნებრივია, დავინტერესდი ჩვენი დელეგაციის შემადგენლობით და, ჰოი საოცრებავ: იქ ერთი ჩვენი კოლეგისთვისაც არ მოიძებნა ადგილი. როცა გაოცება ვერ დავმალე, უარესი რამ გავიგე — თურმე თვით ფედერაციის პრეს-ატაშეც სამშობლოში რჩება.

კი მაგრამ, რატომ? — დამებადა კითხვა.

და აი, ამ შეკითხვაზე პასუხი მივილე, ახლაც არ ვიცი, როგორ შევიკავე თავი, რომ დაუკრეფავში არ გადავსულიყავი.

დამოუკიდებლობის პერიოდში უმნიშვნელოვანეს შეხვედრაზე „ჯვაროსნები“ სარეისო ლაინერით მიფრინავენ, თანაც იცით, როდის? თამაშამდე ერთი დღით ადრე, ღამით. მიდი და ამის შემდეგ ბიჭებს სასურველი შედეგი მოსთხოვე.

თუმცა, ეს კიდევ არაა ყველაფერი. როგორც იცით, საპასუხო ბრძოლა თბილისის სპორტის სასახლეში 9 სექტემბერსაა დანიშნული. გეკითხებით, როგორ უნდა მოასწრონ იგორ კოკოშკოვის შეგირდებმა დასვენება და განმეორებითი დუელისთვის სათანადოდ მომზადება, როცა ბელარუსის დედაქალაქიდან მატჩის შემდეგვე კი არ მოემგზავრებიან, არამედ მეორე დღეს, ისევ ჩვეულებრივი ავიარეისით.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ საქმისადმი ასეთი დამოკიდებულების გამო მხოლოდ კალათბურთის ფედერაციის მესვეურები გავაკრიტიკო. უფრო პირიქით, ისინი გუნდის ელიტის ზღურბლთან მიყვანისთვის მადლობას იმსახურებენ. მიმაჩნია, რომ მაშინ, როცა ათასი ჯურის „პროსტიტუტკა“ თუ ჩამქრალი საესტრადო ვარსკვლავი დე ფაქტო პრეზიდენტის პირადი თვითმფრინავით ჩამოგვყავს, ეროვნული ნაკრებისთვის ჩარტერული ავიარეისის გამოსაყოფად სახელმწიფოს, კერძოდ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს, აგრეთვე სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს უნდა ეზრუნათ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მათ საბიუჯეტო სახსრებში გარღვევა აქვთ, რაც ძნელად სავარაუდოა, ვარდ-ყვავილოვან ხელისუფლებას, თუ სურვილი ექნებოდა, რომელიმე ბიზნესმენისთვის შესაბამისი დირექტივის მიცემა არ გაუჭირდებოდა.

რაც შეეხება ჟურნალისტთა იგნორირებას, ეს ფაქტი ახლო წარსულის ერთ ცნობილ ისტორიას მაგონებს: 1981 წლის 13 მაისს, როცა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა თასების მფლობელთა თასი მოიპოვეს, დიუსელდორფის „რაინშტადიონზე“ ერთი ქართველი პროფესიონალი კალმოსანი და ფოტორეპორტიორი არ იმყოფებოდა და მხოლოდ მოყვარული ოსტატის დემიკო ლოლაძის მიერ გადაღებული კადრებილა შემოგვრჩა.

ამის შემდეგ, დამეთანხმებით, აღარ უნდა გაგვიკვირდეს კომუნისტთა იდეურ შთამომავალთა შეცოდებანი.

**გია პლატონიშვილი**

**მინაწერი: სიმართლე გითხრათ, იმან, რაც ზემოთ წაიკითხეთ, მომავალი ორრაუნდიანი დაპირისპირების წმინდა სპორტულ მხარეზე სასაუბროდ ხალისი დამიკარგა, მაგრამ გულშემატკივართა ცნობისმოყვარეობის გათვალისწინებით მაინც გაუწყებთ:**

**— ბიჭები დარწმუნებულნი არიან, რომ „ა“ დივიზიონის საგზურს მოიპოვებენ და თანამემამულეებს უსაზღვრო სიხარულს მიანიჭებენ. სამწუხაროდ, საბოლოოდ გამოირიცხა პირველ მატჩში ტრავმირებული მანუჩარ მარკოიშვილის მონაწილეობა, თუმცა ნაკრების თავკაცები იმედოვნებენ, რომ საჭიროების შემთხვევაში იგი 9 სექტემბერს პარტნიორთა მხარდამხარ იქნება.**

**რაც შეეხება მეტოქეს, ძველი გვარდიიდან (დაინეკო-ბაიდაკოვის თაობა) გუნდში მხოლოდ მეშჩერიაკოვი დარჩა, მაგრამ მისი ძალების შეუფასებლობა მაინც არ ეგების. დარწმუნებულნი ვართ, ეს არც მოხდება.**

**გ. პ.**

წყალბურთი

# ჩომახიძე საქართველოსთვის იბრძოლებს

**საქართველოს წყალბურთელ ვაჟთა ნაკრები საფრანგეთიდან, სადაც მასპინძლებთან ერთობლივ საწვრთნელ შეკრებას გადიოდა, დღეს შვეიცარიაში ჩავა და 5 სექტემბრიდან ლუგანოში ევროპის B ჩემპიონატის მატჩებში ჩაებმება. საწყლოსნო სახეობების მსოფლიო ფედერაციის (ლენ-ისძ გადაწყვეტილებით, ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს შეუერთდება ორგზის ევროპის საუკეთესო წყალბურთელი რევაზ ჩომახიძე, რომელიც 1997 წლიდან რუსეთის სპორტულ ღირსებას იცავდა.**



რევაზ ჩომახიძემ წყალბურთის თამაში ქუთაისში დაიწყო გიორგი ქუთათელაძის ხელმძღვანელობით. 1989-1993 წლებში თბილისის „დინამოში“ გამოდიოდა. მას შემდეგ, რაც საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია დაიძაბა და სპორტისთვის არავის ეცალა, 19 წლის ყმაწვილი უცხოეთში გაემგზავრა კარიერის გასაგრძელებლად. სხვადასხვა დროს თამაშობდა იტალიის, ხორვატეთისა და რუსეთის გუნდებში. მოსკოვის „დინამოსთან“ ერთად ევროპის თასების მფლობელთა თასი დაისაკუთრა. რუსეთის ნაკრების შემადგენლობაში მოიგო 1998 წლის კეთილი ნების თამაშები, 2000 და 2004 წლების ოლიმპიურ თამაშებზე, შესაბამისად, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ერგო. 2001 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მესამე პრიზიორი 2002 წელს მსოფლიო ლიგის თამაშებსა და მსოფლიო თასზეც პირველი იყო. 2004 წლიდან ჩეხოვის (მოსკოვთან ახლოსძ „შტურმი-2002“-ში თამაშობს. ამ გუნდის შემადგენლობაში ოთხჯერ რუსეთის ჩემპიონი გახდა, შარშან კი ლენ-ის თასიც მოიპოვა. ვეტერანი თავდამსხმელი დღესაც ჩინებულ სპორტულ ფორმაშია. ორი წლის წინათ მან უარი თქვა რუსეთის ეროვნულ გუნდში გამოსვლაზე და არაერთგზის მიწვევის მიუხედავად, პოზიცია არ შეუცვლია, საქართველოს საწყლოსნო სახეობების ეროვნული ფედერაციის შეთავაზებას კი აქტიურად გამოეხმაურა. „ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს ნაკრებში თამაშის საშუალება მომეცა, რითაც მე, ფაქტობრივად, სამშობლოს ვუბრუნდები“, — განაცხადა რევაზ ჩომახიძემ.

საქართველოს ნაკრები ლუგანოში პირველ ექვსეულში მოსახვედრად იბრძოლებს, რათა გაისად ელიტაში დაწინაურების შანსი შეინარჩუნოს. მით უმეტეს, რომ ასევე ლენ-ის გადაწყვეტილებით, 2010 წლის პირველი მარტიდან საქართველოს ნაკრებს ნატურალიზებული ბალკანელი წყალბურთელებიც დაემატებიან.

შემთხვევა

## დაიღუპა 81 წლის მოცურავე



**შაბათს, 29 აგვისტოს ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის ვეტერანი მოცურავეების ჩემპიონატი, რაც ტრაგიკულად დასრულდა.** როგორც ადგილობრივი პრესა იტყობინება, ერთ-ერთი გაცურვის დროს გარდაიცვალა ჩემპიონატის მონაწილე 81 წლის მოცურავე. წინასწარი მონაცემებით, ვეტერანი სპორტსმენი დაიღუპა ფილტვების ემბოლიით. პირველადი დახმარების აღმოჩენის მიუხედავად, მოცურავე მამაკაცი გონზე მოუსვლელად აღესრულა.

ინტერნეტიდან

## ბლოხინი ნაკვალევს მონაკოში დატოვებს



**წარსულის დიდ ფეხბურთელს, კიევის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების თავდამსხმელს ოლეგ ბლოხინს მიენიჭა ძალზე პრესტიჟული პრემია GOLDEN FOOT — 2009.**

12 ოქტომბერს ყოფილი სსრ კავშირის საუკეთესო ფეხბურთელი თავის ნაფეხურს დატოვებს ჩემპიონების ხეივანში მონტეკარლოში, სადაც მეშვიდედ გაიმართება ამ პრემიის ლაურეატების დაჯილდოება.

ის ყოველწლიურად ინტერნეტ-კენჭისყრით ენიჭება მოქმედი ათი ფეხბურთელიდან ერთ-ერთს, რომელიც 29 წელზე ნაკლები ასაკისა არაა, აგრეთვე წარსულის გამოჩენილ ფეხბურთელს. შარშან ამ ხეივანში თავისი ნაკვალევი დატოვა იგორ ბელანოვმა, ხოლო 2005 წელს — ანდრეი შევჩენკომ.

„რა უნდა ვთქვა? თუ გავიხსენებ, რამდენ ლეგენდარულ ფეხბურთელს ვიცნობ ჩვენი თამაშიდან და შენც იმათ გვერდზე გაყენებენ, ნიშნავს, რომ ტყუილად არ დაგიკარგავს დრო ამდენ ხანს მინდორზე გამოსვლით“, — თქვა ბლოხინმა, — მე მესამე უკრაინელი ფეხბურთელი ვიქნები, ვისაც ასეთი პატივი ერგო“.

## ასაკი უნდა დადგინდეს

**მას შემდეგ, რაც გავრცელდა ხმები, რომ ფეხბურთში ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატზე, რომელიც ნიგერიაში უნდა გაიმართოს, მასპინძლები აპირებენ „ზრდასრულთა“, ანუ 1992 წლის 1 იანვარზე ადრე დაბადებულთა გამოყვანას,** თანაც ნიგერიელები მარტო არ არიანო, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციამ — ფიფამ გადაწყვიტა, მოაწყოს ჩემპიონატში მონაწილეთა მაგნიტურ-რეზონანსული შემოწმება, რათა დაადგინონ მონაწილეთა ასაკი. სპეციალური ტესტები დამუშავებულია ფიფას სამედიცინო-საკვლევ ცენტრში, და საიმედოობით გამოირჩევა. შერჩევით შემოწმებას გაივლის ყველა 24 გუნდი, ჩემპიონატში რომ მონაწილეობს.

## ისტორიაში მეორე შედეგი

**ზაგრებში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე აჩვენეს მსოფლიოში სეზონის სამი საუკეთესო შედეგი, მათ შორის სიმაღლეზე ხტომაშიც — ხორვატი ბლანკა ვლასიჩი გადახტა 2,08 მეტრზე, რაც სანტიმეტრით ნაკლებია მსოფლიო რეკორდზე, 1987 წლის აგვისტოში ბულგარელმა სტეფკა კოსტადინოვამ რომ დაამყარა.**

მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ბლანკა ვლასიჩმა ისტორიაში მეორე შედეგი აჩვენა. ბლანკამ სცადა სარეკორდო სიმაღლის — 2,10 მეტრის დაპყრობა, მაგრამ ხელი მოეცარა. თუმცა ხორვატმა სპორტსმენმა ქალმა ყველას აგრძნობინა, რომ ახლო მომავალში თვითონაც გახდება რეკორდსმენი.




იმავე ტურნირზე სლოვენიელმა პრამიუჟ კოზმუსმა ურო სტყორცნა 81,77 მეტრზე, ხოლო ამერიკელმა კრისტინუ კანტეველუმ ბირთვი — 22,16 მეტრზე.

## ანდრეამ მიაგნო მიტიას

**რუმინელმა ლამაზმანმა ანდრეა ტონჩინიუმ მიაგნო თავის დიდ სიყვარულს. ქალიშვილმა, დიდი სწრაფვა რომ აქვს ფეხბურთელებისკენ, ისევ მოძებნა სასურველი კაცი — ახალგაზრდა ნახევარმცველი ნიკოლაე მიტია.**



ანდრეა, სინორჩის მიუხედავად, კარგადაა ცნობილი საფეხბურთო წრეებში. მის „აქტივში“ ითვლებიან იონელ დუტუ „სტიაუადან“, ჯანინ კარიცე, კრისტიან პუგლასი ბუქარესტის „დინამოდან“ აგრეთვე პერსპექტიული ახალგაზრდა მოთამაშე კრისტი დამინუცე.

ახლა კი მისი ლამაზი გული დაიპყრო ნიკოლაე მიტიამ. „ის ადამიანია, ვისზეც მუდამ ვოცნებობდი, — თქვა ლამაზმანმა, — ის მუდამ ჩემს გვერდითაა. ისე გვიყვარს ერთმანეთი, რომ მცირე ხნით განშორებასაც ვერ ვიტანთ“.

თუმცა გამოცდილი რუმინელი ჟურნალისტები დარწმუნებული არიან, რომ რამდენიმე თვეში ლამაზმანის ეს რომანიც დასრულდება.

ღვაწლი მამულიშვილისა

**არიან ადამიანები, რომლებსაც დროისა თუ ბედის უკუღმართობის გამო სამშობლოდან შორს მოუხდათ ცხოვრება და საქმიანობა, მაგრამ ყოველი მათი მოქმედება, შრომა და ფიქრი მხოლოდ სამშობლოს საკეთილდღეოდ იყო მიმართული. მათ შორის არის ჟურნალისტი და მეცნიერი, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველი რედაქტორი ვიქტორ ნოზაძე, რომელსაც**

# „საქართველოს რესპუბლიკის“ პირველი რედაქტორი



**მისი ემიგრაციაში ყოფნის გამო ნაკლებად იცნობენ სამშობლოში. მიმდინარე წლის 17 სექტემბერს მისი დაბადებიდან 116 წელი სრულდება.**

იგი 1893 წელს დაიბადა საჩხერის მახლობლად, სოფელ მოძვში. პირველდაწყებითი განათლება საჩხერის ორკლასიან სასწავლებელში მიიღო, შემდეგ კი სწავლა ჭიათურის საქალაქო სასწავლებელში განაგრძო, ხოლო 1913 წელს დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია.

გიმნაზიაში სწავლის დროს ვიქტორ ნოზაძე მარქსისტულმა მოძღვრებამ გაიტაცა და როდესაც იგი უმაღლესი განათლების მისაღებად მოსკოვის უნივერსიტეტში შევიდა, რევოლუციურ საქმიანობაში უშუალოდ ჩაება კიდეც. 1917 წლის თებერვლის რევოლუციის დროს ვიქტორ ნოზაძე მოსკოვის მუშათა საბჭოს წევრი გახდა და მოსკოვის აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებში მონაწილეობდა.

1917 წლის მაისში ვიქტორ ნოზაძე თბილისში ბრუნდება და სოციალ-დემოკრატთა გაზეთ „ერთობაში“ იწყებს თანამშრომლობას, იმავე ხანებში ქუთათურ გაზეთ „სოციალ-დემოკრატსაც“ უძღვება.

1918 წელს ვიქტორ ნოზაძე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ოფიციალური გაზეთის – „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორია, ხოლო მომდევნო 1919 წელს, იგი სხვა ქართველ სტიპენდიატებთან ერთად ევროპაში გაემგზავრა ევროპული სწავლა-განათლების მისაღებად.

საქართველოს გასაბჭოებამ 1921 წლის თებერვალში ვიქტორ ნოზაძეს ინგლისში მოუსწრო. სამშობლოში დაბრუნებას მან ევროპაში დარჩენა არჩია და საქართველოში ხელსაყრელი პოლიტიკური ვითარების მოლოდინში სწავლას აგრძელებდა. ინგლისიდან ვიქტორ ნოზაძე გერმანიაში გადადის, სადაც სოციალურ მეცნიერებას ეუფლება და 1926 წელს ბერლინის უნივერსიტეტს ამთავრებს დოქტორის ხარისხით. ბერლინის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ საცხოვრებლად ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცენტრში – პარიზს გადასახლდა და აქტიურ მონაწილეობას იღებს ქართული ემიგრაციის ცხოვრებაში.

30-იანი წლებიდან ვიქტორ ნოზაძე იცვლის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას. ახალგაზრდობისას ქართული ეროვნული სოციალიზმის გამზიარებელი, იგი დროთა ვითარებაში უკიდურესი ქართული ეროვნული დარაზმულობის – „თეთრი გიორგის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ხდება.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას ვიქტორ ნოზაძე საცხოვრებლად სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში გადადის, ხოლო 60-იან წლებში კვლავ ბრუნდება ევროპაში, ჯერ ესპანეთში, შემდეგ კი საფრანგეთში, სადაც გარდაიცვალა 1975 წლის 24 აპრილს, დაკრძალულია თავისივე ანდერძის თანახმად პარიზთან ახლოს ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

უცხოეთში ვიქტორ ნოზაძემ არაერთი ქართული ჟურნალი და გაზეთი დააარსა („კავკასიონი“, „ორანტი“, „ქართველი ერი“, „მამული“ძ, დიდი მეცნიერული მემკვიდრეობა დარჩა. საქართველოში უფრო ცნობილია ვიქტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნაშრომები. ვიქტორ ნოზაძეს აქვს ისტორიული გამოკვლევები, განსაკუთრებით აღსანიშნავია გამოკვლევა – „საქართველოს აღდგენისთვის, ბრძოლა მესხეთის გამო“, რომელიც ეძღვნება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის ისტორიას (1918-1921 წლებიძ. აღნიშნული გამოკვლევა დაიბეჭდა 1939 წელს პარიზში მაისის თვის ჟურნალ „ქართლოსში“. საზღვარგარეთ ქართული ემიგრაციის ისტორიული მასალების ძიებისას ამ ნაშრომისთვის ყურადღება მიუქცევიათ პროფესორებს გურამ შარაძეს და აკაკი სურგულაძეს. გურამ შარაძის მეოხებით შესაძლებელი გახდა ამ ნაშრომის გამოქვეყნება საქართველოში. იგი ქართული ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი შენაძენია.

**ჯუმბერ მაღლაფერიძე**

მთის ასაღორძინებლად

# თბილისში გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია „ინეკოსპეცტრანსი-2009“

**მთიანი რეგიონების ინფრასტრუქტურის აღორძინების, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვისთვის ეკოლოგიური სპეციალური ტრანსპორტის, ეკოტექნიკის, ეკოტურიზმის, ბიზნესისა და ეკონომიკის კომპლექსური განვითარების პრობლემებისადმი მიძღვნილი III საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენცია „ინეკოსპეცტრანსი-2009“ გაიმართება მიმდინარე წლის 30-31 ოქტომბერს ქალაქ თბილისში.**

**ამ კონფერენციის მიზნებისა და ამოცანების შესახებ გვესაუბრება მისი საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, ტექნიკის დოქტორი, პროფესორი შოთა ორჯონიკიძე.**



– „ინეკოსპეცტრანსი-2009“-ის ძირითადი მიზანია, – ამბობს ბატონი შოთა, – ხელი შეუწყოს, განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების მთიანი რეგიონების მაგალითზე, გაეროს მიერ თანამედროვე ეტაპზე წამოყენებული ისეთი დიდმასშტაბიანი კომპლექსური პრობლემების ოპტიმალურ გადაჭრას, როგორებიცაა – მთების დაცვა; ტრანსპორტი, გარემო და ჯანმრთელობა; ეკოტურიზმი; სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური განვითარება.

იგი ორიენტირებულია შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის – ბისეკის წევრი ქვეყნების მთიან რეგიონებზე, რომელთა განვითარების პრიორიტეტებია ევროპის ინტეგრაციის პროცესებში აქტიური მონაწილეობა და ევროპა-კავკასია-აზიის (ტრასეკაძ სატრანსპორტო დერეფანში თავიანთი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

ინეკოსპეცტრანს-2009“-ის მთავარი ამოცანებია: განიხილოს და შეიმუშაოს რეკომენდაციები მეტად მნიშვნელოვან საკითხებზე. კერძოდ, ესენია – მთიანი რეგიონების ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია და განვითარება, ეკოლოგიურად სუფთა სპეციალური ტრანსპორტისა (საბაგირო, საბაგირო-რელსური, მონორელსური და ა.შ.ძ და მისი მართვის ავტომატიზებული სისტემების კვლევის, დამუშავებისა და დანერგვის თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივები მრავალდარგოვან სოფლის მეურნეობასა და სამთო მრეწველობაში, სამთო ტურიზმი, კურორტები, სათხილამურო სპორტის განვითარება, საექსპლუატაციო კადრების მომზადება, უსაფრთხოების ტექნიკა, ბიზნესის განვითარება, სოციალურ-ეკონომიკური ეფექტიანობა და სხვ.

კონფერენციის პროგრამის პროექტით გათვალისწინებულია, რომ „ინეკოსპეცტრანს-2009“-ის მომზადებასა და გამართვაში მონაწილეობას მიიღებენ შესაბამისი საერთაშორისო და საზღვარგარეთის ორგანიზაციები, საქართველოს, როგორც მასპინძელი ქვეყნის, დაინტერესებული სამინისტროები და უწყებები, საზოგადოებრივი და კერძო სექტორების წარმომადგენლები, მეცნიერები, წარმოების სპეციალისტები, ბიზნესმენები და ბანკირები, მასმედიის წარმომადგენლები.

ინეკოსპეცტრანსის პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია – „საქართველოს მთიანი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის შესრულების მდგომარეობა.

**ზურაბ ლომიძე**

ინფორმაცია

## „ამიდასტურში“ წირვა-ლოცვა განახლდა

**გურჯაანის რაიონის სოფელ ვაჩნაძეანში მდებარე „ამიდასტურის“ ეკლესიაში, რომელიც VI-VII საუკუნეებით თარიღდება, საუკუნოვანი უმოქმედობის შემდეგ წირვა-ლოცვა განახლდა.**

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგეობის ძეგლთა დაცვის სამსახურის სპეციალისტმა თამაზ მარკოზაშვილმა განუცხადა, ეკლესიაში წირვა-ლოცვის განახლება მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც ტაძრის სარეაბილიტაციო სამუშაოები დასრულდა. ეკლესიის რესტავრაცია მთლიანად ბიზნესმენ ბიძინა ივანიშვილის ფონდმა დააფინანსა.

## ქიბარ ხალვაშის ქონებას ჯერჯერობით ვერ ყიდიან

**ბიზნესმენ ქიბარ ხალვაშის კუთვნილი ქონების აუქციონი ჩაიშალა.**

„ინტერნეიშნლ ბილდინგ კომპანისა“ და „პრიზას“ ქონებაზე გამოცხადებული აუქციონი საგადასახადო ინსპექციაში გუშინ იყო დაგეგმილი, თუმცა აუქციონი მყიდველის არარსებობის გამო ჩაიშალა.

შეგახსენებთ, რომ ხალვაშის ქონება აუქციონზე მერვედ გაიდა, თუმცა ჯერჯერობით მყიდველი მხოლოდ „ინტერნეიშნლ ბილდინგ კომპანის“ საკუთრებაში არსებულ სამ ავტომანქანას გამოუჩნდა.

## მკვლელმა დანაშაული აღიარა

**29 აგვისტოს, ზესტაფონში მომხდარი მკვლელობა გახსნილია. იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს 18 წლის ფირმან შუქრის ძე დვალიშვილი, რომელიც ეჭვმიტანილია 16 წლის ნიკოლოზ ჯაჯვანის მკვლელობაში.**

29 აგვისტოს, ზესტაფონში რუსთაველის გამზირზე მდებარე ბართან, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ ფირმან დვალიშვილს შელაპარაკება მოუვიდა ხვიჩა კვირიკაძესთან, რაც მათ შორის ჩხუბში გადაიზარდა. ფიზიკური დაპირისპირება მოგვიანებით გიორგი ჭუმბურიძის საცხოვრებელ სახლში გაგრძელდა. დვალიშვილმა ჩხუბის დროს ცივი იარაღის გამოყენებით, ჭანტურიძესთან მყოფ ნიკოლოზ ჯაჯვანს გულ-მკერდის არეში მიაყენა ჭრილობა, რის შედეგადაც ჯაჯვანი გარდაიცვალა. ასევე დვალიშვილმა სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება მიაყენა გიორგი მოდებაძეს.

დაკავებულმა აღიარა ჩადენილი დანაშაული. მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით.

## გორთან სამგზავრო ავტობუსი აფეთქდა

**გორის რაიონის სოფელ სვენეთის გზაზე სამგზავრო ავტობუსი აფეთქდა.**

შემთხვევის შედეგად დაიღუპა ერთი მგზავრი. არიან დაშავებულებიც.

დაზარალებულები გორის სამხედრო ჰოსპიტალში არიან გადაყვანილები. წინასწარი ინფორმაციით, ტრანსპორტში მყოფ მგზავრებს მეზობელ სოფელში სოფლის მეურნეობის პროდუქტები გასაყიდად მიჰქონდათ.

წინასწარი ინფორმაციით, ავტობუსი გაზის საწვავზე მუშაობდა და აფეთქების მიზეზიც გაზის სისტემის გაუმართაობა გახდა.

**ჯი-ეიჩ-ენი**

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსის 2009 წლის 26 აგვისტოს №26-08/8 განკარგულებით სს „პირველ ბრიტანულ ბანკს“ გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია და დაიწყო ლიკვიდაციის პროცესი.

გთხოვთ, ყველას, ვისაც სს „პირველი ბრიტანული ბანკის“ მიმართ გაგაჩნიათ გარკვეული პრეტენზია, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვერცხლის ქ. №1.

**ტელ: 995-995(133ძ, 899 184-333.**

ლიკვიდატორი

**ქ. თბილისის 145-ე საჯარო სკოლა აცხადებს კონკურსს უზურფრუქციის ხელშეკრულებით გაფორმებულ სკოლის შენობის 40 $m^2$ ფართის იჯარით გასაცემად ბუფეტის ფუნქციონირებისთვის.**

საიჯარო ურთიერთობის მაქსიმალური ვადაა 2 წელი, მინიმალური წლიური საიჯარო გადასახადი შეადგენს 1400 ლარს.

განცხადებების მიღება წარმოებს განაცხადის გამოქვეყნებიდან 1 თვის განმავლობაში.

**საკონტაქტო ნომერი: 45-65-70.**

## დღის კალენდარი

3 სექტემბერი



ამოდის 05.28
ჩადის 18.30



ამოდის 04.47
ჩადის 18.37

### წლის 246-ე დღე – ახალ წლამდე დარჩა 119 დღე.

### მე-13 შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.

**ხსენება მოციქულ თადეოზისა,** სამეოცდაათთაგანისა (დაახლ. 44 წ.). წმიდათა შორის მამისა ჩვენისა **სარმეან ქართლის კათოლიკოსისა** (779წ.); მოწამე ვასასი და შვილთა მისთა: **თეოგნის, ალაპისა და პისტისა** (IIIს.).

**წმიდა მოციქული თადეოზი** წარმოშობით ებრაელი იყო. დაიბადა სირიის ქალაქ ედესაში. იერუსალიმში ჩასვლისას, როდესაც წმიდა იოანე წინამორბედის ქადაგება მოისმინა, მას თავი მოანათვლინა და პალესტინაში დარჩა. როდესაც მაცხოვარი იხილა, მისი მოწაფე გახდა. უფალმა იგი იმ 70 მოწაფეს შორის მიიღო, რომლებიც ქალაქებსა და სოფლებში ქადაგებდნენ. მაცხოვრის ამაღლების შემდეგ მოციქული თადეოზი სირიასა და მესოპოტამიის მახლობლად მოღვაწეობდა. ედესაში წმიდანმა ეკლესია ააგო და მღვდლები დააყენა, სადაც 44 წელს წმიდანი მშვიდად გარდაიცვალა.

**წმიდა მოწამე ვასასი და შვილები თეოგნია, ალაპი და პისტი** მაკედონიის ქალაქ ედესაში ერთად ცხოვრობდნენ. წმიდა მოწამე ვასასი ბავშვობიდან ქრისტიანული მრწამსის მიხედვით იზრდებოდა და შვილებსაც შთაუნერგა რწმენა. ქმარმა თავისი ქრისტიანი ცოლ-შვილი იმპერატორ მაქსიმიანე ვალერიუსთან დააბეზღა. იმპერატორის ბრძანებით, დედის თვალწინ, შვილები აწამეს. მათ თავები მოჰკვეთეს.

ცნობილია, რომ ქალკედონში, დაახლოებით 450 წელს, უკვე არსებობდა წმიდა მოწამე ვასასის სახელობის ეკლესია.

### დაიბადნენ:

**1647 – დენი პაპენი,** ფრანგი ფიზიკოსი.
**1875 – ფერდინანდ პორშე,** ავსტრიელი ავტოკონსტრუქტორი.
**1885 – გერონტი ქიქოძე,** ფილოსოფოსი, ესთეტი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი, კრიტიკოსი. გარდაიცვალა 1960 წელს.
**1905 – კარლ დეივიდ ანდერსონი,** ამერიკელი ფიზიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
**1905 – ბენიტო ბუაჩიძე,** კრიტიკოსი, ლიტერატურათმცოდნე. რეპრესირებულია 1937 წელს.
**1914 – ანდრია აფაქიძე,** არქეოლოგი, ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

### გარდაიცვალნენ:

**1977 – ლეო დავითაშვილი,** გეოლოგი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.
**1739 – ჯორჯ ლილო,** ინგლისელი დრამატურგი.
**1883 – ივან ტურგენევი,** რუსი მწერალი.
**1991 – ფრენკ კაპრა,** ცნობილი ამერიკელი კინორეჟისორი.

### მოვლენები:

**590 წელი** – გრიგორ I რომის პაპად აკურთხეს.
**1791 წელი** – საფრანგეთმა მიიღო პირველი კონსტიტუცია.
**1828 წელი** – დაქორწინდნენ ალექსანდრ გრიბოედოვი და ნინო ჭავჭავაძე.
**1897 წელი** – აკაკი წერეთლის რედაქტორობით გამოვიდა ყოველთვიური ლიტერატურული ჟურნალის „აკაკის თვიური კრებულის" პირველი ნომერი.
**1971 წელი** – სსრკ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, აშშ-მა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ოთხმხრივ შეთანხმებას დასავლეთ ბერლინის სტატუსის შესახებ.
**1976 წელი** – ამერიკული კოსმოსური ხომალდი „ვიკინგ-2" მარსზე დაჯდა. გაკეთდა პლანეტის ზედაპირის პირველი ფერადი ფოტოსურათი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
მილიტარისტულ იაპონიაზე გამარჯვების დღე.
**მონაკო** – გათავისუფლების დღე.
**ტუნისი** – ხსოვნის დღე.
**კატარი** – დამოუკიდებლობის დღე.
**სან-მარინო** – რესპუბლიკის დაარსების დღე.

## გვემრავლოს!

# აუწონავი სიხარული...



სწორედ ასეთი სიხარული ეწვია ამ დღეებში ჩვენს უფროს კოლეგას, უფროს ძმასა და მეგობარს გურამ (კოია) გომართელს: გაჩნდა დარეჯანი (დარია), ნანატრი შვილი ჩვენი პოპულარული საესტრადო მომღერლის, გურამის უმცროსი ვაჟის დათო გომართელისა. დათო რომ მალე თავის ციცქნა დარიას სიმღერას უძღვნის, ამას წყალი არ გაუვა, მანამდე კი ბაბუს – გურამს ვერ მოუთმენია და ლექსად ამოუთქვამს თავისი ოჯახის სიხარული.

ჩვენი რედაქცია უერთდება ამ სიხარულს, ულოცავს, უპირველესად, დათო გომართელსა და მის მეუღლეს ქალბატონ მარინას ქალიშვილის შეძენას და... აქვე გთავაზობთ გურამ გომართელის აუწონავი სიხარულის გამო დაწერილ ლექსს!

### პატარა დარიას

მიწას ლოცავს, ცას ერთვის,
მადლი მარიამის თვის,
მისი კალთა გვფარავს და
მისი ცრემლი ჩამოგვდის.

ღვთისმშობელი პირჯვარს გვწერს,
ითრგუნება ქვექალა,
წელში არ მოიხრება
მისი ხვედრი ქვეყანა.

ადამის ძევ, სანამ ხარ,
ენდე დაუღალავ გულს,
გწამდეს, ბოლო არა აქვს,
მაცხოვარის სასწაულს.

აბა, სხვა რა დავარქვა,
აბა, სხვის რის დარია –
მხარზე შემომაფრინდა
ანგელოზი – დარია!

იქნებ სიზმარში ვნახე
ან ნატვრამ გადამრია,
არა, ცხადად მიღიმის
ლურჯთვალება დარია!

გურამ გომართელი

## ფოტოფაქტი



კიევში ყვავილის ქანდაკებათა ყოველწლიური ფესტივალი ამჯერად განსაკუთრებით ბავშვებს ახარებს: მცენარეებისგან შექმნილ გიგანტურ ნაგებობებში ისინი ხედავენ საყვარელი ზღაპრების გმირებს. თუმცა ზოგიერთი მათგანისგან გაქცევა უნდათ...

## ინფორმაცია

### გინახავთ ურძეო კარაქი?

საქართველოს სტრატეგიული კვლევების და განვითარების ცენტრის დასკვნით, რომელიც მათ მიერ ჩატარებულ კვლევას ეყრდნობა, ქართული წარმოების კარაქებში რძის ცხიმის შემცველობა წარწერაში მითითებულ პროცენტზე მნიშვნელოვნად მცირეა.

ივლისში მაღაზია „პოპულში" შევისყიდეთ 15 სახის კარაქი, რომლებიც ლაბორატორიას საანალიზოდ ჩავაბარეთ. გაირკვა, რომ ქართული წარმოების კარაქებში რძის ცხიმის შემცველობა მნიშვნელოვნად მცირეა წარწერაში მითითებულ პროცენტზე. თუ რა ცხიმი გამოიყენება რძის ცხიმების ნაცვლად, ჩვენთვის უცნობია, – აღნიშნავენ ორგანიზაციაში. მათი თქმით, ქართულ ბაზარზე ნამდვილი კარაქი მხოლოდ იმპორტირებულ პროდუქციაში გვხვდება.

ХО-ЕОВ-ЕНО

## ანეკდოტები

ის გუბეში ჩაიძირა და დაიხრჩო იმის მიუხედავად, რომ ჰოროსკოპით თევზი იყო, როგორც ადამიანი კი – ნეხვი.

* * *

– უკაცრავად, ნაცნობი მძარცველები გყავთ?
– არა.
– ნება მიბოძეთ, გაგეცნოთ...

* * *

– რა გსურთ? – ეკითხება კაცი ქალს.
– მე არ მინდა, რომ თქვენ წახვიდეთ.
– ეს, გავიგე, თქვენ არ გინდათ. მაგრამ რა გინდათ?
– თავხედო, როგორ მიბედავთ!



* * *

თუ მტერი არ ნებდება, მას ანადგურებენ.
თუ საქონელი არ იყიდება – მისი ვარგისიანობის ვადას აგრძელებენ.

* * *

ღვიძლი შიშით ელოდა დამდეგ პარასკევს, თირკმელებიც ნერვიულობდნენ მოსალოდნელი ბევრი სამუშაოს გამო, ყელი ვარჯიშობდა, კუჭი ემზადებოდა, ფეხები და ენა დაბმვა-ბლანდვისთვის ემზადებოდნენ, თავს ატკივებისა ეშინოდა, გულსაც კი ცეცხლი ედებოდა.
და მხოლოდ ტვინი ხარობდა, რომ პარასკევი მოახლოვდა.

* * *

ცოლ-ქმარი ქუჩაში სეირნობს. ცოლი ამჩნევს, რომ ქმარი ყოველ ჩავლილ ქალს თვალებით ჭამს, და ეუბნება:
– გაილიზიანე და გაიმძაფრე მადა, ძვირფასო, სულ ერთია, ჭამა მაინც სახლში მოგიწევს!

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

პასუხისმგებელი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
99-62-77; 899 36-00-35

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი 899 56-81-86
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.